

140
1958/3

სამხედრო გზა

სა
თავისუფალი
გაზეთი



ვეთიანების

2
თებერვალი
1958

გამარჯვებული მოღის

გურამ ლებანიძე

მოაგუგუნებს მხედრულს,
თავაწული მღერის,
ფეხშეწყობილი მოღის,
შენის დროშების გაშლა.
უტკნობ დიდებით ფენილს,
ხალხის შვილობაც შენის.
„ვაშა!“ — გრიალებს ხალხი,
ისიც პასუაობს — „ვაშა!“

იუბილეა ვისი?
რა სიმღერები ისმის?
დროშებს მხედრული არხებს,
თუ გამარჯვების ქარი?
მოღის — ორმოცი წელი
თავისუფლების მცველი —
გამარჯვებული მოღის
გმირი საბჭოთა ჯარი.

ცარიცინსა თუ კრონშტადტს,
ხევსტოპოლს თუ გომელს,
სტალინგრადსა თუ მოსკოვს,
მორწყულს წითელი სისხლით, —
რას გაიხსენებ ისეთს,
ანდა ჩამოთვლი რომელს,
რომ სიქვა ლეკის და ქება
საბჭოთა ლაშქრის ღირსი?!

„ვაშა!“ — გუგუნებს ხალხი,
ისიც პასუაობს — „ვაშა!“
შენის ცეცხლისფრად გაშლა
წმიდა დროშების ტვერის.
ცაში მტრელები პკრიან,
და სალუტების გრიალს
პკვია მადლობა კვეყნის,
პკვია სალამი კერმლის.

შორს კი გაშლილა მხარე,
ისმის ძახილი ქარსნის,
ველზე ჩხრიალებს არხი,
მერხზე შრიალებს წიანი.
ალუშფოთფელად გასცქერს
ხალხი მომავალს ფართოს,
თავისი ლაშქრის პატრონს
ან რისი პკონდეს ფიქრი!

მოაგუგუნებს მხედრულს,
თავაწული მღერის,
ფეხშეწყობილი მოღის
ხალხთა მშვიდობის ფარი;
მოღის — ორმოცი წელი
თავისუფლების მცველი —
გამარჯვებული მოღის
გმირი საბჭოთა ჯარი.



პ ი თ ნ ე რ ი

საქართველო
საბჭოთა კავშირი



ს ა რ ჩ ე ბ ა



მ. ლებანიძე — გამარჯვებული მოდის (ლექსი)	83
გარეკ.	2
დ. ბაქრაძე — ჩვენი გმირული არმია (წერილი)	2
რ. გამაბათვი — ლექსი (ლექსი, თარგმანა შ. რეხვიასვილიშვილი)	3
მ. ზვარელი — ხელ შენ ხარ ბატონ-პატრონი!	4
გ. ჭეიშვილი — ცეცხლი (მოთხრობა)	5
თ. სახაროვი — საჩუქრები და ბარათები (ფოტონარკვევი)	8
ა. ბელიაშვილი — სამეფოს მდროზე (კინომოთხრობა, გაგრძელება)	10
გ. გოგიაშვილი — საჩუქარი სულ პატარებს (წერილი)	17
ა. კოკია — „ოთხი დრო“ (წერილი)	17
ე. ლომიძე — იპტომბრელები (ნარკვევი)	18
ზ. ლეშაშვილი — დილის ვარჯიში (წერილი)	21
ქვის ქოთაკი (ვიეტნამური ზღაპარი, თარგმანა ე. აგლაძემ)	22
რ. ბეჟანიშვილი — ქუდი (მოთხრობა)	25
კ. გოგიაშვილი — იგორი და გოჩა (ნაწყვეტები პოემიდან)	28
ვ. კისლოვი — ლეგენდარული განძის ძიება (წერილი)	30
დ. კობახიძე — ლურჯი ვეშაპი (წერილი)	31
მოკლე დ ყველაფერზე	32
გასართობი გარეკ.	3
გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა იესუთენის რ. ცუცქერიძემ, მეოთხე გვერდის მხატვრობა — ვ. ზეღუცკიას.	
ყურნალი დასურათებულია მხატვრების: დ. ხახუტაშვილის, კ. მაჭარაძის, დ. ნოდიას და გ. თითიაძის მიერ.	

რედაქტორი რევაზ მარგანიანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორჭია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

საქართველოს ალკა
ცენტრალური კომიტეტის
ქ რ ვ ე ლ ტ ვ ი უ რ ი
საბავშვო შუბნალი


2

თებერვალი
1958



გამომცემის ფული
XXXII

საბავშვო შუბნალი



ჩვენი გმირი

აკრძია

დავით ბაქრაძე

საბჭოთა კავშირის გმირი



ჩვენი მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალები, მშობელ ხალხთან ერთად, დიდი ზეიმით აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს—თავიანთი არსებობის ორმოცი წლისთავს.

დღიად გამარჯვებათა სახელოვანი გზა განვლო გმირულ ბრძოლებში შობილმა საბჭოთა არმიამ თავისი არსებობის მანძილზე. 1918 წლის 23 თებერვალს მოიპოვა პირველი დიდი გამარჯვება—გაანადგურა გერმანულ ინტერვენტთა ჯარები ნარვასთან და ფსკოთან. აი, ეს დღე ითვლება საბჭოთა არმიის დაბადების დღედ.

მსოფლიო იმპერიალიზმმა განიზრახა სისხლში ჩაეხრჩო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. თითხმეტი იმპერიალისტური სახელმწიფო გაერთიანდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. საბჭოთა არმია შექმნეს კომუნისტურმა პარ-

ტიამ და ბირადღ დიდმა ლენინმა—უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ოქტომბრის რევოლუციის მონაბოვართა დასაცავად.

პარტიისა და მთავრობის მოწოდებამ—სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!—მზურვალე გამობზაურება პოევა მთელს ქვეყანაში. მუშათა კლასმა არმიის რიგების გაძლიერებით უპასუხა ამ მოწოდებას. 1918 წლის ზაფხულში საბჭოთა არმიამ ცარიცინთან უკუავდო გერმანიის იმპერიალიზმის დაქირავებულ თეთრგვარდიელთა შემოტევა დონზე და ცარიცინი გაათავისუფლა. 1918 წლის 10 ნოემბერს შეიქმნა თავდაცვის საბჭო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მეთაურობით. 1919 წლის გაზაფხულზე უკუვდებულ იქნა თითხმეტი სახელმწიფოს პირველი



საბჭოთა კავშირის მარ-
შალი კ. კ. როკასოვსკი
სტუმრად ჭარბელ პოლენ-
რებთან.

ფოტო კ. კრამსკისა.



ასულ მამუაშვილი

ლ ე კ ი

ირაკლი აბაშიძის გოგონას

შემოტევა. მალე საბჭოთა არმიამ იმპერიალისტთა მორე
ლაშქრობაც გაანადგურა. 1920 წელს მესამე ლაშქრო-
ბის განადგურებას მოჰყვა ინტერვენტთა საბოლოო გან-
დევნა საბჭოთა ქვეყნის ფარგლებიდან. მძიმე და რთულ
პირობებში ახალგაზრდა საბჭოთა არმიამ უმაგალითო
სიმამაცე და გმირობა გამოიჩინა—დაიცვა თავისი სოცი-
ალისტური სამშობლო შინაური და გარეშე მტრებისაგან.

მაგრამ ყველაზე მრისხანე გამოცდა საბჭოთა არმიისა-
თვის ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის,—
იყო 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომი. ფაშის-
ტური გერმანია ვერაგულად თავს დაესხა ჩვენს სამშო-
ბლოს. საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს თავისი არსებო-
ბის მანძილზე არ ჰყოლია ასეთი ძლიერი და ვერაგი
მოწინააღმდეგე. საბჭოთა არმია გამარჯვებული გამოვი-
და ამ საშინელი, სისხლისმღვრელი ომიდან. დაიცვა სამ-
შობლო ქვეყნის თავისუფლება, იხსნა ევროპის ხალხები
ფაშისტური ტყვეობის უღლიდან და ამით მთელი კაცო-
ბრიობის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

მრავალრიანი საბჭოთა არმიის ძლიერების საწინადა-
რი. უპირველეს ყოვლისა. ხალხთა მეგობრობაა! დიდი რუ-
სი ხალხის და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა შეილება-
თან ერთად, სახელოვნად იბრძოდნენ სამამულო ომში
ქართველებიც. ქართველი ხალხი სიამაყით წარმოთქვა
საბჭოთა კავშირის გმირების: თენგიზ ჯაფარიძის, ჭიჭიკო
ბენდელიანის, ლავრენტი ავალიანის, თათარ ჩენელაშვი-
ლის, ირაკლი ციციშვილის, ვახტანგ ლევკეას და სხვათა
სახელებს.

საბჭოთა კავშირს ყველაზე ახალგაზრდა გმირმა
თენგიზ ჯაფარიძემ ერთი დღის განმავლობაში, მოძმი
პოლენეთის ტერიტორიაზე, ფაშისტების ხუთი ტანკი
მოსპო, რითაც საშუალება მისცა საბჭოთა ნაწილებს იმ
დღეს რამდენიმე ათეული კილომეტრით წაეწიათ წინ.

მრავლად იყვნენ ქართველი მეომრები პარტიზანთა
რიგებშიც—შოთა გოგობერიძე, მიხეილ ქვათარაძე, გიო-
რგი ტუბაჩაძე და სხვანი. საბჭოთა კავშირის ორგზის
გმირის სიღირს არტემის ძე კოვაკაის დივიზიაში იასონ
ჟორჯოლიანსა და ვანო რეზიაშვილს «ფაშისტთა რისხვა»
უწოდეს. ეს საპატიო სახელი მათ გმირული საქმეებით
დაიმსახურეს. ძნელსა და პასუხსაგებ საქმეს კოვაკი ყო-
ველთვის მათ ავალებდა. „თქვენ საქართველოდან ხართ,
იქ უფლად ხალხი ცხოვრობს. ზეგირს რამ გმირულს შმე-
ნია ქართველ ხალხზეო“— იტყვდა ხოლმე კოვაკი.

ჩვენმა ძლევამოსილმა სამშობლომ მოიშუშა ომისგან
მიყენებული ქროლობები, აღადგინა დანგრეული სახალო
მეურნეობა და ახლა გიგანტური ნაბიჯებით მიემართება
მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მწვერვალებისაკენ. ამის
ნათელი დადასტურებაა თუნდაც დედამიწის ხელოვნური
თანამგზავრები, რამაც მთელი მსოფლიო ალაპარაკა.
გმირი ქვეყანა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა,
ხოლო უახლესი ტექნიკითა და მსოფლიოს კეთილი ნების
ადამიანთა სიყვარულით შეიარაღებული საბჭოთა არმია
ფიზიკლად დგას ხალხთა თავისუფლების, მშვიდობისა და
პროგრესის სადარაჯოზე.

გადმოვლახე მთა, და შლიეგი
ვანქერების ვინაჟ ფრენა...
შენ ეგახლა სახლომ დეიცი,
რატომ აღარ სტორი შენა?

ნუთუ, რიცა მალად მთებზე
ლაჟე წებვა ჯანდისფერი,
ჩემს საშინელ თაჟანასმებზე
დედაშენი არ ვიმდერის?!

ნუთუ მამა პაწაწინას
არ ვიამბობს მწველი ფიქრით,
რომ უნაილი ვიყუჯ წინათ
და არ ცხვოგრობ ტერა მთას იქით?!

რომ ვეღური მყავდა რაში,
ქირში ბეგრჯეგრ გადამჩრენი.
გწამდეს, ქართლის მთა და ბარში
შიში ჰქონდა მრავალს ჩემი.

აშინებდნენ ჩემით წინათ
ყმაწვილს, დედის მქერდს რომ ეკვრის:
„დაძიხენ, პაწაწინავ,
თორემ მოგიტაცებს ლეკი!“

ძველი ციხე-კოშკის თავზე
დღეს მტრედები ფრთასა შლიან,
ახლა საქართველის გზაზე
ლეკის ვისლა ემინა?!

თვალუთუნავ, გული ლენით
მღრის, თქენთან რომ ვარ ახლა,
და მიგაფრენ ორთავ ხელით
ვარსკვლავებით მალადა, მალდა.

დღე ვავიდა... მთავრებოლთან
მთავრე ცურავს შავ ღრუბლებში,
შენ კი ტბილად ჩავეძინა
სტუმრად მოხულ ლეკის ხელში.

ჰქრის მდინარე ზარის რეკვით,
მთა-ქიდელო დევებს ჰგვანან...
„დედლინებებს ტბილად ლეკი:
“ივანდა, ვარდო ნანა!“

თარგმანა

შალვა ჩხევიავილია

ხვალ შენ ხარ ბატონ-პატრონი!

ზვარს სხლავენ, ქარხნის ხმა გესმის,
არხს სჭრიან... შკრიან სხვა დრონი...
სამგორის, რუსთავე-ხრამების
ხვალ შენ ხარ ბატონ-პატრონი
ლა შენც, წიგნს როგორც შიჩებე,
სალაშკრო ჩანჩახს დასწვდები—
დოლით, საყვირით, დროშებით
სამშობლოს გზებზე გაჩნდები.
ქარხანა საყვირს ამღერებს,
ველაღ ჯეჯილი ლაღებს;
შენ ყველაფერი გამხნეებენ,
შენ ყველაფერი ვახარებს.
წინ გადაგშლია წიგნებით, —
გეტახის დაბა-სოფელი;
ყრმას რუსთაველი დომკაიცი
გიღიშის, როგორც მშობელი.
გასწი, მამულიშ ხმა გესმის...
არხს სჭრიან... შკრიან სხვა დრონი...
სამგორის, რუსთავე-ხრამების
ხვალ შენ ხარ ბატონ-პატრონი!

მ. ზეპირაძე
ნახ. გ. თოთიბაძისა





საქალაქო

მონარქი ჭიჭილი

ნახ. გ. თოთბაძისა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ცეცხლი, თურმე, მარტო იმას რო-
ლი ჰქვია, სახლი ნასახლარად, ზენი
ნაზვინევედ რომ უქცევია, ან, რავე-
ზე გამწარებულს, გულზე რომ შემო-
გნთობია! არა, სხვანაირი ცეცხლიც
ყოფილა...

ლაფში ჩაფლულ ურემს გინდ გა-
ხედე, გინდ გამოხედე, მაინც უნდა
ამოქაჩო და ამოაგორო. ჰოლარა, იმ
ურემზე ნაკლებ დღეში არც ჩვენი
ცოცხალი კუთხე იყო მაშინ და დღი
დაფაცურება გემართებდა. მით უმეტეს,
საპირველმისოდ მოსკოველ პი-
ონერებს ველოდი.

დაფაცურდი!... კედლები შვეა-
თეთრეთ, იატაკები მოვხებეთ, ზედ
გრძელი ფარდავებოც გავშალეთ...
ვინ—მდინარეში ანკესები ჩაყარა,
ვინ—სანაზიროდ დადიოდა. გოგო-
ვი საქოთნე ყვავილებს დაეძებდნენ.
ერთი სიტყვით, კიანველებშივე მო-
ვედეთ სოფელს.

ოთარი, როგორც საღურგლო საქ-
მეში გამოცდილი, გვარწმუნებდა,
რომ ახალი თარიოების, გაღიების და
სავეველე ყუთების გაქეთებას ერთ
კვრაში მოათავებდა და, ისე მი-

ყავდა საქმე, კიდევ დაგვარწმუნა
ამაში.

კუთხის თვალსაჩინოებისათვის, ყო-
ველი ექსპონატის შესაფერად, ნახა-
ტები და ფერადი წარწერები უნდა
გაქეთებულყო და, რადგან აქ ყვე-
ლაზე მეტად ჩემი იმედი ჰქონდათ,
დამავალეს კიდევ. რასაც დავხატავ,
დავხაზავ, თუ გავაფერადებ, უკრ ამ-
ხანაგებს ეჩვენებ, მერე ხელმძღვე-
ნელს; მოსწონთ, მაჭებენ, შენიშვნე-
ბიც ბუერია. მივდივარ, ვასწორებ,
შინ ვაგროვებ...

ჩერახელ, მე და ოთარი შინ მივი-
ქვართ.

ქარია!... მტვერი მოცეკვავესავით
ტრილებს, ლაპარაკს გვიშლის. მო-
სახვევს გავცდით თუ არა, ქარმა
მტერის სვეტი გაშალა, სიგრძეზე
გაქიმა, აკოტრიალა, სისინით ჩამო-
გვირბინა, კიეილის და ჩოქოლის
სხემი მოგვახეთქა...

— რა ამბავია?—ახლა კი აპილო
ნმა ოთარმა. „არ ვიცის“ თქმას ე-
პირებდი, მაგრამ უცებ, მტვერი რომ
გაიფანტა, თვალები დაექაჩე, ახმაუ-
რებულ ადგილს დაეაკვირდი და...

მიშველე, ოთარი, ჩემი სახლი იწ-
ვის-მეთქი!—შევევირე...

ოთარმაც მიშველა, მიეღი სოფე-
ლი ფეხზე დადგა, მაგრამ სახლი მა-
ინც ვერ გადაარჩინეს. ვერც შიგ
შესვლა მოასწრო ვინმემ, რომ ქვე-
შაგები ან ტანსაცმელი მაინც გამოე-
ტანათ...

... ის დღე მეზობლების ოხვრაში,
დეღამების ტირილში და სოფლის
თავაკების აუჩქარებელ სჯა-ბაასში
დაღამდა...

შუცეცხლი შუალამემდე იგრიბე-
ბოდა, ლაღაპებდა... არ ვიცი ის
ჩამყვა, თუ იმდღევანდელი სურათი,
მთელი დამე ცეცხლს ხეივადი, ცეც-
ხლში ვიყავი. ცეცხლი მეკაცა და იმ
ცეცხლში ჩვენს თავმჯდომარეს ვერ-
ხუბებოდი; დღეს და ხვალს ძახილ-
ში, არ იქნა, არ დააყენე საშველი,—
სოფელში ერთი სამეცა! სახანძრო
რაში მაინც ჩამოგყალიბებია-მეთქი!
ამ ჩხუბში გათენდა.

მერე და სდლ გავათენეთ! ძველ
ჯარგვალში... ეს იყო ახლა ჩვენი



—ზრი როგორი პაწე სახლები დამიზურაბს და ამიშენებია? ეს კი რა წესი შემოვიღოა, კაცო, ხად ვინახავს, ვის გაუგონია?



სახლიც და კარიც... მაგრამ, ასე როგორ იქნებაო და, კოლმეურნეობამ მონახშირებულ ნასახლარზე ახალი სახლის მშენებლობა გავვიჩაღა. ჩემი წრის წევრებიც უკლებლად გამოვიდნენ საპეშაოდ.

სახიდობრებით სილა-ხრეში მოჰქონდათ, კოპიტისა და თელის მორებს მათორეიდნენ. კალატოზებსა და დურგლებს შევლოდნენ... თითარი კი, თითარი ხომ მეთაური იყო მათი და, ხან რა საქმეს მოაბამდა თავს და ხან რას.

ცოტა რომ წამოიწია საქმემ, მთლად რა დამაწყნარებდა, მაგრამ, აქამდე თუ უფსკრულის ძირში მეგონა თავი, ახლა შუამდე მინც ამოვაბიჯე, სული მოვითქე და ახლა იმას ვეღარ ვიტანდი, იმას ვერ შევრიგებოდი, რომ ჩვენს ცოცხალ კუთხეს ჩემგან თითზე გადასახვევი არაფერი ემატებოდა და სტუმრებს პირადლებული უნდა შევხედროდი.

მერე და, როგორ მქონდა ყველა-

ფერი აწყობილი!... ემ, წაიდა ჩემი ნახატები, ჩემი ერთი თვის ნაოცულბარი, წაიდა და ჩემი გულიც თან გაიყოლა. რას იზამ, ხანდახან თორმე ადამიანის ცხოვრებაში, ბედი, თუ რაღაც სხვა მისი ნათესაი, ძალაუნებურად ხელს ჩაგაქნევიანებს. ჩაიქნეი მეც ხელი—სხვა რა გამოსავალი მქონდა იმ მდგომარეობაში მყოფს! ჩემი ფიქრი სახლს დასტრიალებდა; ვაკვეთილის სწავლას ძლიეს ვასწრებდი და სხვა რამეზე როგორ მერბინა! თითარსაც კრიკა ჰქონდა შეკრული... ვატყობდი, ჩემზე ნაკლებ არც ის განიცდიდა ამას, თუმცა არაფერს მეუბნებოდა. მაგრამ ერთხელ... ჰო, მაშინ იყო, საღამოთი, ყველა რომ გავაცილე, მე და ის ვიშვართან ლაპარაკს შევეკვიეთ... წასასვლელად ზურგ-შემკეული თითარი უეცრად ჩემკენ შემოტრიალდა, მიკოო, შემომძახხა და. საოცრად განანათა მისმა თვალებმა... და ასე სწრაფადვე „არაფერი, არაფერი“, თვითონვე დააყოლა და გაშტერებული დამტოვა...

* * *

მეორე დღე კვირა იყო. მზის ამოსვლამდე აგურის ღამბე სვეტებზე ქილიშების გამართვა მოასწრეს ოსტატებმა.

თითარი ყველაზე გვიან მოვიდა, მოფარებულში გამიხშიო და მიხარა: არ გეწყინოს, დღეს თუ ვერ დაერჩებოა. სისულელე ვიფიქრია, წყენაზე რომ მელაპარაკეში-მეჭეი. და წაიდა...

გაიარა ერთმა დღემ... თითარი ახლოს არ გავგვარებია. მესამე დღეს სკოლაში გცადე გამოვლამპარაკებოდი, მაგრამ ხან ბიბლიოთეკაში ასვლა მომიჩვენა, ხან წყლის დღლევა და ერთი სიტყვით, ზურგი მიჩვენა.

ეწყინა რამე? არავის არაფერი უკადრებია!

ამხანაგები ჯერ ჩუმჩუმად აღაპარაკდნენ და, მეოთხე დღესაც რომ აღარ გამოჩნდა... აჰა, შენი საამაყო მეგობარო! — მომხალეს აქეთ-იქედან.

— მოეშვი, მაგისტანა კაცთან არც ღირს ლაპარაკი! — თქვა ერთმა.

— თავის საქმეს დასტრიალებს ბი-
კი!—ჩაილაპარაკა მეორემ.

ჩემს გულს ვაცხედენდი, მაგრამ, თუ
კაცს არ უნდის, რა გავწყობა!

არც სახლის დახურვაზე წამოგ-
ვეყვებოდა. აქ კი ასე იყო საქმე:
ცალთვალა შიო, — დურგალი, კალა-
ტოში და, მოკლედ, ეს ყველაფრის
მოხელეც კი, დილიდანვე სათავეში
ჩაუდგა საქმეს: თითქმის კედელზე ორ-
ორი კიბე მიადგმევინა, კრამიტის
დაწყობაში გამოცდილები წვეთი აგ-
ზავნა, უფრო გამოუცდილები კი კი-
ბეებზე აამწყობა.

— დმერთო მომკალი! ეს რაო, რა
დაუბერებია შიოს! — შეიცხადა გზო-
ში მოგვიანებით შემოსულმა მუქდელ-
მა „პაწე-პაწე“. ბიძია ესიკას ყველა
„პაწე-პაწეს“ ეძახდა, რადგან საუბარ-
ში „პაწეს“ და „პაწას“ — პატარას, ან
ცოტას მაგიერ — ყოველთვის შეურევ-
და ხოლმე.

— ჰმ, როგორ! პაწე სახლები გა-
დამიხურავს და ამიშენებია?! ეს კი რა
წესი შემოგილია, კაცო, სად გინა-
ხავს, ვის გაუგია!

— ანუა საქმრო ახლა! — გადმოს-
ძახა მშვიდად ძია შიომ და მტკავ-
ლიანი ლურსმანი კუთხის ქლიოში
ჩაუშვა. კინტიკარას თავზე წიაყი-
რე ღრუბლებმა მითსრეს ტირილს
ვაიმერებთო და, ამ კედლების დაუ-
ხურობა წეშიაში იქნება! — ჰოდა,
მსურავებს ანიშნა, აბა, უჭკბრეთო!

ერთ საათში კრამიტის ერთი წრე
შემოერთვა სახურავს, მეორემი — მე-

ორე და, მესამე რომ დაიწყეს, ოთა-
რი მაშინ გამოჩნდა თავის ეზოში.
ღობეს მოადგა, ინენერგიით შეგვა-
თვალვით, ჩემს ჯარგავს დააკვი-
რა... დამცინის-მეთქი, ვიფიქრე და
გავაფურთხე მის დასანახად. ცოტა
ხნის შემდეგ რომ მოვიხედე, იქ აღარ
იყო.

ნასაღილევს დაბრუნდა, მარჯვენა
ხელით დიდი კალათა მიმივღე ეჭირა,
მარცხენაზე დაგორგლილი მავთული
ჭკონდა წამოცმული.

* * *

არ გავწივებულა, მაგრამ დახურ-
ვის რომ შორიჩნენ, შეღამებული იყო.
ბიჭებმა ცოცხალ კუთხეში შევიარეთ.

„შენი ნახატები მთლად დამაშე-
ნებდა აქაურობას!“ — შინ მობრუნე-
ბულს ყურში მიშრიალებდა აშხანა-
გების ნათქვამი. ბიჭებს ეს სხვანი-
რად სულ არ უთქვამთ, მაგრამ, რა-
ტომღაც, თავს მაინც დამცირებულად.
უსუსურად, უსაქმურად ვგრძნობ-
დი... ჰოდა, ჩემდაუნებურად, გულში,

გონებაში ქარციით ამომეჭრა, ერთი
აზრი და, სანამ კიშვარს შევალვდი,
ორჯერ შემაჩრა: რა ენა?! თავი-
დან რომ დავიწყო ყველაფერი, ვი-
თინ გამოვა? ან კი მოვასწრებ?

ერთი კვირა, ჰო, ამაღამის ჩათვ-
ლით ზუსტად რვა დღე, როგჯერ ოც-
დაათხი საათი დარჩა და... შეუძლე-
ბელია! ეს იმას ჰგავს, ათფუთიანი
რეცინა ცალ ხელით აფრეო. გაბრუ-
ბული შევედი ეზოში. სახლი! იდეა
ჩემი სახლი... რა ვუყო, თუ ჯერ
ფანჯრებიც აკლდა, არც კარები ჰქონ-
და, არც კიბე! მაინც მეამა მისი და-
ნახვა. გამაქრეოლა. ფიქვის კედლე-
ბის სუნი მეტკბილი. დახორბულ მო-
რებს გვერი ავუარე, კაცლის დახ-
რილ ტოტებშია გაფიქვრი და ჯარ-
გვალის ზღურბლს გადავამიჯე.

დღეაჩემი მიხარულად შემეხდა. მე-
ცი იდეა ოთარიც!.. კუთხეში, მი-
ვიღე, სხვადასხვა ზომის ჩარჩოები,
დიდი სახატავი ფურცლები, საღება-
იანი ქილები და ორი მოზრდილი
ტილოს ნაჭერი შევინაწე...

დღას შევხედე... ოთარს დავაქ-
ვირდი...

— ეს რა არის? საიდან?... თუმცა
უყვე ვიტოდი, მივხედი, მაგრამ მაინც,
მაინც ვიცითხე სულმოუთქმელად. შე-
ვამოწმე, ყველაფერი იყო მზად და
მე... მე?.. მე, შეიძლება ითქვას, ჩახმახს
ვგავდი, რომელსაც უყვე თითი გამოპ-
კრეს...

ოთარი გახარებული შემოგვცემე-
როდა ხან მე, ხან დედას, იღიმებო-
და, ხმას არ იღებდა... ან კი სგერ-
თოდ, რაღა იყო სათქმელი, როცა
გული ცეცხლოდებული მიფრთხია-
ლებდა და, როცა ეს ცეცხლი, რა
თქმა უნდა, სრულიად არ ჰგავდა
იმ ცეცხლს, რომელიც უმოწყალოდ
სწვავს, ანადგურებს ყველაფერს; პი-
რიქით, ეს იყო ცეცხლი სიხარული-
სა, ძალას რომ აძლევს ადამიანებს...
ესაა, ამ ცეცხლზე ვამბობდი.





ჩვენი სპორტდარსებითეობა მემობრები

საჩუქრები და ბაკათაბი

დღეს, როცა მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანთა მეგობრობა სულ უფრო მტკიცდება, პატარებიც იღრვებიან ერთმანეთისაკენ, ამყარებენ ურღვევ მეგობრობას. ამით დედამიწის ყველა ქვეყნის ბავშვები მხარში ამოუდგნენ უფროსებს და ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მათაც შეაქვეთ თავიანთი წვლილი. მშვიდობისა და მეგობრობის დამცველთა რიგებში საქართველოს პიონერებიც დგანან. ჩვენი პიონერული რაზმეულები, რაზმები, რგოლები თუ ცალკეული პიონერები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში თავიანთ თანატოლებს უგზავნიან და მათგანაც ლებულობენ სუენიერებს, ფასიან საჩუქრებს, ამანათებს, გულთბილ წერილებს.

თბილისის პირველი სკოლის პიონერებსა და შორეული ავსტრალიის


ახალი უელსის ქალაქ პიმბლას მოსწავლეებს საჭმიანი, მეგობრული მიმოწერა აკევირებთ. ავსტრალიელმა მეგობრებმა თავიანთ თანატოლებს მშვენიერი ფოტოალბომი გამოუგზავნეს საჩუქრად. ორიოცდამეათეობეტი სკოლის მეექვსე რაზმელები ჩეხოსლოვაკელ პიონერებს დაუმგობრდნენ და ამაწ წინათ წერილთან ერთად ფასიანი საჩუქრებიც გაუგზავნეს. ოცდამეათე სკოლის მეექვსეკლასელი მალხაზ ბაქანიძე პრადელ გოგონას, მეხუთეკლასელ ბოეკა სლუვაკოვას დაუმგობრდა. პრადელმა და თბილისელმა პიონერებმა ერთმანეთს თავიანთი ფოტოსურათები გაუგზავნეს სახსოვრად და ამით კიდევ უფრო გაამტკიცეს თავიანთი მეგობრობა. მალხაზმა ბოეკასგან ბევირი რამ შეიტყო ჩეხოსლოვაკიის სკოლების შესახებ. მან გაიგო, რომ



„მართალია, ჩვენი სხვადასხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაგრამ ჩინეთის და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის მეგობრობა მუდამ მტკიცე და ურღვევი იქნება.“ — ამბობს ჩინელი გოგონა ლი იუნ-მეი.

იჭურ სკოლებში მოსწავლის აკადემიური წარმატების საუკეთესო, მაღალ შეფასებად „ერთიანი“ და „ორიანი“ ითვლება. თბილისელმა მერაბ კოტარიამ თავის პოლონელ მეგობრისგან შეიტყო, რომ პოლონეთში გოგონები და ბიჭები, მართალია, ერთ სკოლაში სწავლობენ, მაგრამ მეცადინეობა ცალ-ცალკე კლასებში მიმდინარეობს. კორეელმა გოგონამ — ლი ჩუნ-იმ აღნიშნა, რომ კორეაში ზამთრის არდადეგები ორმოცდახუთ დღეს გრძელდება. და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ახალი რამ შეიტყუეს ქართველმა პიონერებმა თავიანთი საზღვარგარეთელი მეგობრების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ.

საქართველოს პიონერებმა მრავალი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს თავიანთი საზღვარგარეთელი მეგობრებისგან. დიდი ჩინეთის პატარებმა საქართველოს პიონერებს სახსოვრად გამოუგზავნეს აბრეშუმის ქსოვილები ოსტატურად ამოქარბული მარქის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის



მაღლოდ მეგობრული გრძნობა, სიყვარული და პატივისცემა ამოქმედებდა გერმანელ პიონერებს, როცა ამ ოაქმნიანი გემის მოდელს ხარუქრად უგზავნიდნენ თავიანთ ქართველ თანატოლებს.



ინტერნაციონალური მეგობრობის კამინტი განაშენებდა და საჩუქრებს უგზავნიდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ბავშვებს! ამ ჩამოყალიბებული ჩემბრის, რუმინული, ჩინური და სხვა ენების შემსწავლელი წიგნები ნაყოფიერად მუშაობენ.

ცოცხლო ქვემოთწერილობა, ნანა მამაჯანოვამ, ლეონა კორასხიამ, ამირან გიორგიშვილმა გადაწყვიტეს ჩინური ენის შესწავლა. გიორგი აკობიანის ხელმძღვანელობით პატარები ჩინურ იეროვლივებს ეცნობიან და სწავლობენ.



მეგობრობის
კამინტი

პორტრეტები. ჩინელ მეგობართა ეს ძვირფასი საჩუქარი თბილისის პიორუმბული მოდელი, რომელიც მსოფლიო ახალგაზრდობის V ფესტივალზე გერმანელმა ახალგაზრდებმა ჩინელი დედეგაციის წევრებს გადასცეს და სთხოვეს მათ, ფრანსტ ტელმანის სახელობის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციის სახელით, საჩუქრად გადაეცათ საქართველოს პიონერებისათვის. მზახელთა ყურადღებას იპყრობს ექსკავატორის მოქმედი მოდელი, რომელიც მსოფლიო ახალგაზრდობის VI ფესტივალზე მოსკოვში ჩამოსულმა ჩეხოსლოვაკიის დედეგაციამ ჩეხი პიონერებისაგან საჩუქრად ჩამოუტანა საქართველოს პიონერებს.



პრადელი გოგონა, მესთედახლები ბოგა ხლუჯოვა თავის დანაპირებს პირნაოლად ახრულებს,—იგი მხოლოდ „ერთიანებზე“ და „ორიანებზე“ სწავლობს.

ნერთა და მოსწავლეთა სასახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კამინტის აშუუენებს. აქვეა საშინაინი იალქინინი გემის ოსტატურად შეს-


რუმბული მოდელი, რომელიც მსოფლიო ახალგაზრდობის V ფესტივალზე გერმანელმა ახალგაზრდებმა ჩინელი დედეგაციის წევრებს გადასცეს და სთხოვეს მათ, ფრანსტ ტელმანის სახელობის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციის სახელით, საჩუქრად გადაეცათ საქართველოს პიონერებისათვის. მზახელთა ყურადღებას იპყრობს ექსკავატორის მოქმედი მოდელი, რომელიც მსოფლიო ახალგაზრდობის VI ფესტივალზე მოსკოვში ჩამოსულმა ჩეხოსლოვაკიის დედეგაციამ ჩეხი პიონერებისაგან საჩუქრად ჩამოუტანა საქართველოს პიონერებს.

სულ უფრო იზრდება და მტკიცდება ჩენი რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეების და მათი საზღვარგარეთელი თანატოლების მეგობრობა. აი რას სწერს ჩინელი გოგონა ლი

იუნ-მეი თავის თბილისელ მეგობარს, რომელსაც მან წერილთან ერთად თავისი ფოტოსურათიც გამოუგზავნა: „მართალია, ჩვენ სხვადასხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაგრამ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის მეგობრობა მუდამ იქნება ერთიანი, მტკიცე; ისინი თავიანთ წელიწადში შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდ საქმეში“.

მ. სასპრკინი
ფოტო შ. ჩხედიანისა

ეს ექსკავატორის მოქმედი მოდელი მსოფლიო ახალგაზრდობის VI ფესტივალზე მოსკოვში ჩამოსულმა ჩეხოსლოვაკიის დედეგაციამ ჩეხი პიონერების სახელით, საჩუქრად ჩამოუტანა საქართველოს პიონერებს.



სამეფოს კურობა

იერონიმი
ბელაჩივიჩი

ქინოსოტხროგა*

— აჰ, ღმერთო ჩემო, სად გაიქცა ეს გრიე!—წამოი-
ძახა ანა-ხანუშმა.—აბა, ახლა მაგის იმედად უნდა მია-
ტოვო მთელი სამეფო? თქვენ მაინც მიჩაჩიეთ რაზე, რო-
გორ მოვიქცეთ...

— როგორ უნდა მოვიქცეთ შენი ჭირიმე და ამ
ჩვენს ციხეში ჩავიკეტოთ, გზაზე ყარაულები დაეაყენოთ...
თუ მუცალმა უთურგას ციხე აიღო, აქეთ აღარ წამოვა...
თუ ვერ აიღო და აქეთ წააოვიდა, ჩვენს ციხეს მით უფ-
რო ვერ აიღებს... ჩავიკეტოთ. სასმელი გვაჭკს და საჭ-
მელი. რო მობეზრდება აქ ყურყურტი, წავა, მა რას იზამს!
— ეგ კარგი აზრია.—ამბობს ანა-ხანუში.

— ჩემმა სოფელმა რალა დააშავა... არ უნდა ვიხს-
ნათ?—ამბობს მანუჩარი.—რაც ყმა გლეხი მყავს, სულ
მომტაცებენ და მერე სადღა წავიდე? ეგ როგორ იქნება!

— ერთი შენც, მოვიცლია!—ამბობს ერთ-ერთი თა-
ვალი.—შარშან, ჩემი სოფელი რომ ააოხრეს, მაშინ რად
არ მოიკალი თავი?! მეფეც აქ ბრძანდებოდა და სარდა-
ლიცა. ახლა მანუჩარის სოფლისთვის ჩვენ რად უნდა
გაეწყდეთ!

— არც აგრე ვარგა თავადლო!—შეედავა სახლთუხუ-
ცესი, —აგრე ჯიბრით თუ ერთმანეთს არ ვუშველეთ,
მტერი მილად გაგვანადგურებს.

— მერე რით ვუშველოთ? მეფეც აქ არ არის, სარდა-
ლიც თან ახლავს. ჯარი კიდევაც რომ დაეიბაროთ, ვინ
წაუძღვება? თხებივით ხომ არ წავალო!

* გაგრძელება. იხ. „შინური“ № 1



ახალგაზრდა ბატონიშვილმა რამდენიმე მხლებელი იახლა, მათ შორის თავისი ტოლი ლულაბაც, და მათთან ერთად ჩაიჭრა ალაზნის საბალახოებზე, მეჯოგებთან, რომელიც ცხენების რემას დარაჯობენ.

თვალის დახამამებაში ყველანი ბატონიშვილის გარშემო მოგროვდნენ.

— აბა, ბიჭებო,—გასძახა ბატონიშვილმა მეჯოგებს,—მუცალ-ხანი აოხრებას გვიბირებს. ახლავე შესხედით ცხენებზე. შენ, გიგაბე, ალვანში ადი, ციხიო ბიბლიაურს უთხარი, ბატონიშვილი გიბარბესთქო—ახლავე რჩეული ბიჭები წამოიყვანოს. ალავერდის ტაძართან შევიკრიბებით. შენ, ქიტესავე, შატილში ახვალ, ჯანშათა

— გაგვიგეს მაგ ძაღლებმა, რომ ტყვიაწამალი გამოგვილია. ხანჯლებზე მიდგა საქმე.

— მეუ და შიმშილით ღონემიხილილებმა რა უნდა დავაკლოთ...—უიმედოთ ამბობს ერთი მებრძოლი.


— არა უშებს რა, მინც ძვირად დავუსვამთ ჩვენს წახდენას!—ამბობს მეორე.

—აბა, ბიჭებო, არ ფიქრონ, რომ ან დავფრთხით, ან გვეშინია, მოდიეთ ერთი, სიმღერა დავაგუგუნოთ და ისე შევეგებოთ მტერსა! აბა, ლევანე, დაიწყე.

და ციხის კედლებზე გაღმომდგარმა მებრძოლებმა ნელი კრინით წამოიწყეს სიმღერა, რომელიც თანდათან ძლიერდება.

„ვაგაკაცს გული რკინისა...“

„აბჯარი უნდა ხისაო...“



ბატონიშვილმა თავის მებრძოლებთან ერთად ჩაუარა მებრძობ... ყოველ მხრიდან ერთხმად იჭრიალა ჯარმა. დაიძრნენ ცხენოსნებმა.

ივანეურს უბრძანე თავისიანებით გეგახლოს. უფლისა ახმეტაში წავა, გოდერძი—მთიანეთში, სვიმონა—სიღნაღში...

ბატონიშვილის ყოველ დაძახებაზე ბიჭები მაშინვე სხდებიან ცხენებზე და სხვადსხვა მხარეს მიჰქრებიან.

ალყუემორტყმული ციხე, ეხოში, შიმშილისაგან ღონემიხილი მოსახლეობა დაღვრემილი ვასცქერის სათვალთვალო ჭურჭრუტანებიდან მტრის მოძიობას. როგორც ეტყობა, მათაც მიზღვრდათ ლოდინი და ციხეზე საიერიშოდ ემზადებიან. ისინი გაფაციკვებით სხლავენ ახლადმოჭრილ გრძელ ტოტებს და ღვგრეჭებით კრავენ კიბეებად.

ციხისათვის კრიკაშეკრული ვასცქერის ამ მზადებას, გულზე მჯიღს იღებს და ამბობს:

ნელნელა დაიძრა მტრის ჯარი. ფრთხილად, ფოფხვით უახლოვდებიან ციხეს. ესერიან, ისეე მოდიან, კიბეებს მითაირვენ.

ციხის კედლებიდან კი ვაგაკაციო სიმღერა მოისმის.

ალავერდის ტაძართან უკვე საკმაო ლაშქარი მოგროვილა. აგურ, ხეცსურთა ჯგუფი იახლა ბატონიშვილის და მათმა მეთაურმა თავდახრით მოახსენა:

— ჯანშათა ივანეური გეხეულ, ბატონიშვილო, სამოცდაათი ცხენოსნითა.

და იმავე წუთს მეორე მხრიდანაც ისმის:

— ბატონიშვილს ვახლავარ, თუშე ციხით ბიბლიაური, ოცდახუთი ცხენოსნითა.

ბატონიშვილი სათითაოდ ესალმება მოსულებს.

ჯილადარებმა ცხენი მოჰკვარეს ბატონიშვილის ის ჩვეული სისწრაფით მოველო ცხენს.



ასევე მარად მოახტა ცხენს დულაბა. მოხუცმა მებროშემ მას გრძელტარაზი ალაში გაუწოდა და უხნის როგორ ეცვას იგი:

— აგერ, უხანგე ბუდეს ხედავ? ტარს ბოლო შიგ ჩაუდგვი, თანა მაჯაში ჩაიბი. აგრე! იცოდე დროშის დახრა არ ენება. არ შეშინდე. ხუთი კაცია შენი მცველი.

ბატონიშვილმა თავის მებროშესთან ერთად ჩაურა მებდრებს. შემდეგ ცხენი შუაგულში შეაჩერა და ჯარს მიმართა:

— ჩვენს კუთხეს კვლავ უბედურება დაატყდა. მტერი მოულოდნელად დაგვესხა თავს. მეფე-ბატონი მამაჩემი აქ არა ბრძანდება და სარდალიც თან ახლავს. ცდა შეუძლებელია. ამისთვის ვიცისრე ვიყო თქვენი სარდალი და წაგიძღვეთ მტრის წინააღმდეგ. ვისაც გული არ გერჩით, რომ თოთხმეტი წლის ბატონიშვილს ბრძოლაში მიჰყვით, შეგიძლიათ უკან დაბრუნდეთ.

- უწინამც დღე დაგვიბედულეს!
- ქალის ლეჩაქიც დაგვეწეროდეს!
- გავგიძეხ ბატონიშვილი!

ყოველ მხრიდან ერთხმად იგრიალა ჯარმა. დაიძრნენ ცხენოსნები.

* * *

ციხის კედლებზე მტრის ჯარებს უკვე კიბეები მიუყრდნიათ, ზედ აღიან და ხელჩართულ ბრძოლას ეწევიან. ქინჯურებზე ვადაშობდაბი მცველები მთელი ძაღლით ცდილობენ მოიგერიონ ყინილაშაშები. აგერ, ერთ ადვილას კიბეც კი გადააყრავს, მეორე ადვილას ერთი ხელმარჯვე მობრძოდა კედლეს ამოღებია და რამდენიც კი ამოშობდებმა კიბეზე მტრის ჯარისკაცი, ჯერ კი აცლის ამოსვლას და მერე ხმლის ერთი მოქნევით წააცლის თავს.

მაგრამ ნელ-ნელა ძლევს მტერი. ციხის ერთ კუთხეში უკვე გადმოსულან მტრის მეომრები და ხელჩართული ბრძოლა გაუმართავე მცველებთან. ციხის ეზოში დამფრთხალი ქალები ძუძუმწოვარა ბალებით ხელში, გოგონები, პატარა ბავშვები, ყველანი ერთ კუთხეს მიაწყდნენ და შიშით უტყვიან ციხის კედლებზე და კედლის ბაქნებზე გამართულ ბრძოლას.

აი, გადმოეშვნენ მტრის ჯარისკაცები კედლებზე, მოედინენ ეზოს. ჩააღვს ხელი ქალებს, ბავშვებს.

აგერ მივარდა ერთი საზარელი სახის ჯარისკაცი მზექალას, მაჯაში ხელი ჩააგოღ და მიათრევს. მზექალა ცდილობს ხელიდან დაუსხლებს.

* * *

მოჰქრიან იერიშზე წამოსული ქართველები. მათ წინ მოუძღვის თოთხმეტი წლის ბატონიშვილი ერეკლე.

აი, შეიქრნენ ისინი მტრის რიგებში.

იღვე ბატონიშვილის ხმაღმა და გაჰყვითა მტრის ჯარისკაცი.

აირია ციხის გარშემო მტრის ჯარი. ვარბიან, სტო-

ვებენ ყველაფერს, ნადავლს, იარაღს; ცდილობენ თავს უშველონ. აივარა მტრის მეთაური მუხტაურე, მხატვრავისი კარავი, ნაძარცვი ქონება, და მოუხუცა ათიოდე მსლებლით.

დაედევნენ ქართველი ბიჭები, მაგრამ ამაოდ — თავს უშველეს გაქცეულებმა.

* * *

მომალლო ბეჭობზე დამჯდარა ბატონიშვილი საგანგებოდ დადგმულ საკარცულზე. მის უკან დღას დულაბა დროში ხელში. იქვე არაის ჯარის მეთაური.

მოდიან მეომრები და მოჰყავთ ტყვეები. აიოქებენ ბატონიშვილის წინაშე.

მოდიან ტყეობის საფრთხიდან დახსნილი დედები, მოჰყავთ თავიანთი შვილები და თაყვანსა სცემენ ბატონიშვილს.

მოვიდა მზექალაც და დაიჩოქა ბატონიშვილის წინაშე, მაგრამ, როდესაც აიხედა, ერეკლეს კი არა, დულაბას უტყვიან, თან ჩუმშუმაღ კიდევაც უღიმის.

ერეკლემ დაიკვირა გოგონას ზნერა, მოიხედა და დაინახა, რომ ეს ზნერა დულაბასკენ იყო მიმართული. ბატონიშვილმა გაიღიმა და მზექალას სასეე ქისა გაუწოდა.

* * *

და აი... ისევ დუბურუნდენ გლეხები თავიანთ აობრებულ კარ-მიღამოს. შედიან თავთავიანთ სახლებში. ხნულში მიტოვებულ სახნისთან მორეკეს ხარები დულაბამ და მისმა თანატოლმა ბიჭებმა.

შეაბეს უღელში.

ამის დევლა ჩაუდგა დულაბა კვალს, მოჰქიდა ხელი სახნისის სახელებს. ვადაუქრეს შოლტი ბიჭებმა ხარები და დაიძრა გუთანი ხრიალით...

ტრიალით გადმოდიან ბელტები.

იგივე ბელტები ტრიალებენ. კადრი იხსნება და ახლა კათან ჩვენ ვეხდოდ უკვე დაეცაქცებულ, წვერულვაშაყრილ დულაბას.

ისმის სიმღერა:

„ანუღლისა გუთანსა ჯამბარა უნდა რკინისა... ხარები ყველა რჩეული, შიგ მხერ ეღვეს რკინისა.“

* * *

ხნულის განაპირა კბოდეს ჩაუვლის წყაროზე მიმავალი, მხარზე კოჰაშედგმული, ტანწერწყტა მზექალა.

ახალგაზრდა მხერ თედო ხარგეს შოლტს ვადაუქრის, მზექალას თვალს გააყოლებს და დულაბას გასძახებს:

— შეხე, რა მოწყვეტილ ვარსკვლავს დაემსგავსა ე შენი საცოლდე, ბიჭო. ერთხელ მაინც შეხედე შე რჯულძალით.

— აბა, რა წესია, საქმრომ საცოლეს საქვეწოდ უტყვიანო! გინდა, კოჰა თავში დამახეთქოს! — უპასუხა დულაბამ და მოწინააღმდეგე მხარეს გაიხედა.

— არ უნდა გვადაროს ქორწილი, შე ასეთი და ისეთო?! — არ ეშვება თედო დულაბას.

— ეგეც სწორია!—უპასუხა მეხტრემ და შემოსძახა:
„პარე არალო არალოო“...

სოფლის წყაროზე მიდის მხარზე კოკაშედგმული ტანწერწერტა მზექალა.

წყაროზე კოკას აესებს დუღაბას დედა. დინახავს მზექალას და ღიმილით შეეგებება:

— მზექალავ, სად იყავ რო აღარა ჩანდი? ი ბიჭი შენი დარღით დნება

— ვინ ბიჭი, რას ლაპარაკობ?


— იი, ვინა და აზამბურელი თათარი!—გააჯავრა დუღაბას დედამ.—ვინა და ჩემი მზე და ჩემი შთავარე, ჩემი დუღაბა...

— აგრემც დაურჩეს თავის დედას, სანამ იმას არ წაეცე...—ღიმილით უთხრა მზექალამ და კოკა წყაროს მიუღდა.

— რათა, ქალო?

— რათა და, ბატონიშვილი თელავს მეფედ დაბრძანებულა, ეგაო მეფის მეღროშეო, ბატონს უნდა ეახლოს და სუ იმასთან უნდა იყოსო. მაგისტანა ქმარი რა ქირად მინდა!

— იი... შენ ბევრი იცი. აგერ, შემოდგომაზე პურს მოვიმკით და იგიეთი ქორწილი გადავიხადო!



ქონტრებზე გადმოშდგარი მცველები მთელი ძალ-ღონით ცდილობენ მოიფერიონ კიწილბაშები.

— რა ექნა, რამდენჯერ დავაპირე, სუ ომში მომიხდა წასვლა.

— ბიჭო, სანამ ომში წახვალ, მანამდე უნდა მოასწორო, თორემ ომიდან დაბრუნდები თუ არა, რა იცი...

— ბარემ შეც აგრე მინდა. მაგრამ ი ტიალი მტერი და ღუმანი რო არაფერს გვაკლის?! გახსოვს, ჩენი ფირანა რო უნდა დაგვემარხა, მაშინ რო დაგვესხენ თავს... მიცვალეულიც კი არ დავაპარხინეს და ქორწილს ვინ გვაკლის!

— აგერ, ხენას რომ მოვრჩებიო...

— შემოდგომაზე უნდა ვიცადოთ, ქორწილს პურელინო უნდა, ბიჭო.



— აჱ სააღღგომოთაო! ახლა სანამ თათარი არ მო-
მიტკცებს, მანამდ უნდა მლოდინოთ?

— უი, შენ კი გაიხარე!— გულიანად გაიცინა ლუ-
ლაბას ღეღამ,— ნეტავ თქვენს ბედნიერებს ვეღარსებოდე
და თუნდაც ხვალევ...

ვერ დაამთავრა ეს სიტყვები, რომ გაისმა შორეული
თოფების გრაილი და მინდერიდან გამოქცეულმა ბიჭე-
ბმა სოფელს აცნობეს:

— ჩქარა ციხეში... ისევ დავეცხსენ თავს...

და აი, ჩვენს თვალწინ ერთმანეთს ცვლიან კადრები,
როგორ შერბის კვლავ სოფელი ციხეში, როგორ მია-
ტრავა დუღაბამ გუთანს, მოველო თავის ცხენს და გა-
ქუსლა თელავისაკენ... როგორ წამოეწეინ მტრის ურ-
დოები სოფელელებს, როგორ იჭერენ ტყვეებად ქალებს
და ბავშვებს, როგორ უწყალოდ ვლეტენ მოხუცებს.

თელავის სასახლე. ეზოში, უკვე დაგეაუცხებული და
წვერულვაშიანი ერეკლე მეფე, დიდებულების თანდას-
წრებით, ღებულობს სპარსეთის ელჩებს.

— შაჰინშაჰს ცნობა მოუვიდა,— თავდაბრით მოახსენ-
ებს სპარსეთის ელჩი,— რომ მამათქვენი თემურაზი
რუსეთს წაბრძანებულა, რათა მათ ჯარებს თავის ქვეყა-
ნაში შემოუძღვოს. თუ მართალია, რომ თქვენ და მამა-
თქვენი უფაოთ მფარველობას უძღვევდ ირანისა, მაშინ
რისხვა შაჰინშაჰისა ვით მეხი ისე დაატყდება ქართლსა
და კახეთს.

— მოახსენეთ შაჰინშაჰს, რომ მე ბავშვობიდან წილად
მხვდა საკუთარი ხმლით ვიკავდე ჩემს ქვეყანას განუწყ-
ვეტელ თვდასხმებიდან. თუ შაჰინშაჰს კეთილი სურვი-
ლები ამომძარავებს, რად არ აღკვეთს მის ქვეშევრდომთა
ტომების თავდასხმებს ჩემს ქვეყანაზე.

— შაჰინშაჰს ასე მოახსენებენ, რომ პირიქით, ერეკ-
ლე ხანი არ აძლევს მოსვენებას მეზობელ სახანოებსო.
ამ დროს ალაყაფი ჩოჩოელი ატყდა.

სასახლის ეზოში ღებუბა შემოიჭრა, ცხენიდან ჩამოხ-
ტა, დიდებულთა წრე გააჩლია, მარგამ, როდესაც
სპარსეთის ელჩები დაინახა, უხერხულად შედგა.

ერეკლემ თვალების მოძრაობით კითხა— რა მოხ-
დაო. ქულაბამ ასვე თავის მოძრაობით მუნჯურად
ანიშნა ვაგმა მტერი თავს დაგვეცხსო. რამდენიაო, პკით-
ხა. კვლავ თვალების მოძრაობით მეფემ. ღებუბამ ქილებ-
ზე გადაისვა ხელი. ერეკლემ სწრაფად მოიხიდა სტუმრე-
ბისაკენ და სახლთუხუცესს მიუბრუნდა:

— სტუმრებს პატივი ეცით. მე კი ნება მომეცით,
აირიოდ დღე ვიფიქრო და დიდებულებთან ვითათბირო.
ამით ამკნო, რომ მიღება დამთავრდა.

ერეკლე სასახლეში სასწრაფოდ იცვლის სახეიმო ტან-
საცემელს, სალაშქროდ იპურვება და თან დიდებულბ-

თან თათბირობს. აი, მიაწოდეს ჯაქვის პერანგი, ჩაქვის
ღობის უცხად ვაჭარა ხელა და პერანგი ტყვესნისა ვაინა.

— ეს რა პერანგია!— დაიჭვირა ერეკლემ,— დამალ-
ნარმასავით იხევა. მომეცით მეორე. ჰო, შენ რა გინდო-
და გთუბა, სახლთუხუცესო?

— ექნება ჯობდა ომარ-ხანთან სპარსეთის ელჩები-
წარგვეზავანა?

— რისთვის?

— ევენი ვევი მოგვაშორებდნენ იმ ურჯულს და უსის
ხლოდ გადაიჩრებოდიო.

— შენ ავრე გგონია? მერედა ჩვენ აქ გულბელდაკ-
რეფილი დაესხდეთ? ერთიც ვენახოთ ომარ-ხანმა სპარსე-
თის ელჩებს არ დაუჯგარა, რადგან თვითონ სწორედ
შაჰინშაჰის დაღლებით დავეცხსა თავს, მაშინ?..

— მაშინ გავიხიზნოთ და მთებს შევავაოთო თაფი.
მეფემ, ომარ-ხანს თორმეტათასი მხედარი ჰყავს. ჩვენ,
ახლა, დიდი-დიდი ორიათასი კაცი მოვავაოთო. ასეთი
მცირე ჯარით მტრის ვერ დავეცხვდებით. უმჯობესია,
სოფლები მთებში გავიხიზნოთ, ჩვენც გავიხიზნოთ...

ერეკლე ფეხზე წამოდა:

— არა, სახლთუხუცესო. მე სანამ ეს ხმალი მარტყია,
მტრს ზურგს არ ვაჩვენებ. ომის ბელს ხშირად ჯარის
სიმრავლე კი არ წყვეტს, არამედ მოხერხება და გულ-
დაბა. გავიხიზნოთ? არასოდეს! მე რუსთველის რჩევას
ვამჯობებებ— სჯობს სიცოცხლემა ნაზრასა სიკვდილი
სახელეოვანი!

მტრის ლაშქარის სოფელი მთლად აღუხრებია, მცხოვ-
რებთა უმრავლესობა— ქალები და ბავშვები მთლად დაუ-
ტყვევებია. ყველას უწყალოდ ერეკლემიან. ნიღალი ქო-
ნება ცხენებზე, ჯარებზე და ვირებზე აუკინდნიათ. ისმის
მტრის გამარჯვებული ჯარისაკაცების მხიარული ყვირ-
ნი, ხორახოცი და გაახილ-გამომახილი.

— აჰმედ, ნახე რა გოგო ჩაივდო ხელში ოსმანმა?

— არა.

— ალაჰ! იმის მსგავსი მშვენივდა ჯერ არ მინახავს.
სულ უკანასკნელად, ათას ოქროს მისცემენ სტამბოლელი
ვაჭრები.

— წამოდი, ვნახოთ.

— წამოდი.

ორთავენი გაჩაქარებული ნაბიჯით წავლენ წინ და
ჩვენ ვედავთ, როგორ ჩაუბამს მზექალასათვის ჯაქვი
მტრის ჯარისაკაცს და ძალით მიათრევს. მზექალა უძა-
ლიანდება, ცდილობს დაუსხლტეს, ცრემლმორეული ეშუ-
დარება— მომკალი ნუ მბუნჯავთ. მტაცებული კი ომილით
დაიჭინვეს ხოლმე თავის ღონიერ მკლავს, მზექალას ადგი-
ლიდან მოგლეგს, რამდენიმე ნაბიჯით წინ წაივდებს,
სანამ ადგილზე შეჩერებული მზექალა გონს მოვა, ჯარის-
კაცი ისევ გაუსწრებს წინ, ისევ მოგლეგს ადგილიდან
მზექალას და ისევ მიათრევს ძალით.

— ეი, ძმობილო, აგრე თუ აწვალე ეგ ქალი, ხელში შემოგაკვდება.— ეუბნება ოსმალი.

— მართალია, ცხენზე ან ვირზე უნდა შეესვია, თორემ ასე გამტანჯა.

ჯარისკაცი ტლანქად მობლუჯავს მზექალას, ილიაში ამოიდებს და აქეთ-იქით იხედება, რომ რომელიმე მხედრის სახეღარი მოიგდოს ხელში.

მოულოდნელად მტრის მოძრაობა რიგები იშალა და აწრიალდა.

ჰორიზონტზე მტერის ბული ტრიალებს და მოგორავს. ეს ქართველთა რაზმები მოჰქრიათ. მიწაზე გაუკრავთ ცხენები მხედრებს.


უყვილა თავის ჯარებს მტრის მეთაურმა. ეშაღებიან დასახვედრად. ნადავლი ერთ ადგილას მიჰყარეს, შუბები აღმართეს, ხმლები იმიშველეს, მაგრამ უკვე გვიანაა. დაეჭვებინენ ქართველები და შეიქნა იავანწირული ომი.


დამარცხდა მტერი, მაგრამ თავიანთ რიგებში ვეღარც ქართველნი ითვლიან ბევრს.

აი, იფრინეს მათ უკანასკნელი ნარჩენები მტრის ჯარისა და მოუბრუნდნენ თავისიანებს.

მრავალ ადგილას დაჭრილი, ტანსაცმელზემოფლეთილი დუღაბა ხელში ხმლით ღარბის, დაენებს ტყვეობაში გატაცებულ თავისიანებს, მაგრამ ამაოდ. გაქცეულებს, მართალია, ბარგი დაუყრიათ, მაგრამ დატყვევებულები გაუტაცნიათ.

ხმალზე დაყრდნობილი, დაღვრემილი გასკქერის დუღაბა იმ მხარეს, საითაც მიიმალნენ მტრის დამარცხებული ნაწილები, და სისხლიან ოფლს იწმენდს შუბლიდან





ოფს იწმენდს შუბლიდან დუღობა. ის ახლა ყანაში დგას, ხელში ხმლის ნაცვლად ნამგალი უქირავს და პურსა მკის.

აგერ დედამის, მოხუც ქალს, მისთვის სადილი მოუტანია ყანაში.

— მოდი, შვილო, პური კამე, — უძახის დედა და ნაპურალში სუფრასა შლის.

დუღობა უხასიათოდ მიიბაძვებს. დედის მიერ გაშლილ სუფრასთან მოიკეცავს და პურის კამის შუედდება.

— პურს რომ მოვიწვეთ, შვილო, ბარემ ქორწილი გადავიხადოთ.— ეუზნება დედა.

— რა ქორწილი, დედი, გავიცი?

— უი, თვალის დამიდგეს! ბიჭო, მაშ, მზექალას რომ უტადო, იმას ვილა მოგეგარის, ალბათ ვილაც თათარს მიყიდეს. სხვა ქალი უნდა შვიროთ, შვილო...

აზატ-ხანის დიდი კარავი საესეა დიდებულებით და სარდლებით. ხანის წინ დაიქოილა, ქართველი მოღალატე თავადი მანუჩარი მოწიწებით მოახსენებს მას:

— დედადამ გამალებული მოვაქენებდი ცხენს, დიდებულო ხანო. რუსეთის მფარველობის მოსაპოვებლად წასული თიფურაზი პეტერბურგს გარდაიკვალა. ერეკლე მცირე ჯარით განაჯასა და ერევანს არის წასული სალაშქროდ. ახლა ყველაზე ხელსაყრელი დრო ბოლო მოველოთ ერეკლეს ბატონობას, რომლისგანაც დიდგვარიან თავადებს სიცოცხლე გვაქვს გამწარებული. თეიმურაზის ქვრივი, ანა-ხანუმი დედოფალი პირობას სდებს, თუ თქვენ მას ტახტზე აიყვანოთ და მის საძულველ ერეკლეს ბოლოს მოულებთ, იგი მუდამ მორჩილი იქნება სპარსეთის ტახტისა, ყოველწლიურად მოგართმევთ სამოც ულამაზეს ქალს ჩვენი ქვეყნიდან. სამიათას შული აბრეშუმს და თითო მისახლის კვლობაზე თითო მარჩილს წლიურად.

— მოახსენე ანა-ხანუმი დედოფალს, რომ ირანის ამომავალი მზე — აზატ-ხანი — კმაყოფილებით ეგებება მის ბრძნულ გადაწყვეტილებას. დაუყოვნებლივ გაბრუნდი უკან. მითათვის მას ეს ძვირფასი საჩუქრები და ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი თავადები გადაიბიროთ, რომ ერეკლემ, რაც ყავს, იმაზე მეტი ჯარის მოგროვება ვერ შეძლოს.

ყოველივეს ისე აღვასრულებ, როგორც თქვენ მიბრძანებთ.— მოახსენა მანუჩარმა. — ახლა კი ნება მიბოძეთ ვეამბორო თქვენი უდიდებულესობის ფეხის კვალს. აზატ-ხანმა გაიღიმა. ნიხზე ერთ ადგილას ფეხი დაკრა. ხლო მანუჩარმა დაიჩოქა და ამ ნაცვლევს მწიწნი-

ბით ემთხვია შემდეგ წამოდგა და წელში მოხრილი უქუცმა ბიჯებით გავიდა კარვიდან.

აზატ-ხანი წამოდგა და დიდებულებს მიტრუნდა.

— აბა, ჩვენც ნულა დავყოფნებთ. მივხედოთ ჩვენს ჯარს. დიდება ალას, რომ ასე კარგად წარმართა საქვეჩენი.

ყველანი გადიან კარვიდან.

მზისგან გადარუჯულ ველზე მწყობრად ჩარაზმულა აზატ-ხანის ლაშქარი. შუებების ნამდვილი, ტყეა აღმართული.

აქლემთა ქარავენები მზად არიან გაუდგნენ გზას.

აი, გამოზრძანდა ამალით გარშემორტყმული აზატ-ხანი. მითრთვებს დაარბული ცხენი.

ბრწყინავს აღმასებით შეკაზმული ოქროს უნაგირი თეთრ ბელაურზე.

— ეს უნაგირი და ვი რაბტი ქართველ მეფეთა საგანძურს წარმოადგენდა.— ამბობს ღიმილით აზატ-ხანი.— ალაჰმა იწება.— გურჯისტანის მბრძანებელს ამ ძვირფასი უნაგირით ვეახლო.

სიტყვა — ვეახლოს: აზატ-ხანი დაკინებით ამბობს. ამიტომ არაა. მისი სარდლები მღიქქნულური სიცილით იეპუქიან.

აზატ-ხანი მოევლო ცხენს.

კაშლეს თავიანთი დრომდები სარდლებმა.

კმაყოფილება აზატ-ხანმა გადახედა ჯარს და ღიმილით ჩაულაპარაკა თავის სარდლებს:

— ველარ მოიმკის ამერიიდან გამარჯვებას ერეკლე-ხანი. მისცა წინაში. დაპყრეს ბუკი და ნალარა.

დაიძრა აზატ-ხანის ჯარი.

გამოსულან ქალაქის მცხოვრებნი, ალტაცებით აცილებენ თავის ჯარს.

გამოსულან სოფლაგრებიც და დიდებულებიც.

— გამარჯვებას გისურვებთ! — უძახის მთლად ოქროვერცხლში ჩამჯდარი სოფლაგარი ჰუსეინი მათ — ჩამოიყვანეთ ქართველი ტყვეები. ბევრი ჩამოიყვანეთ. ათასი, ორი ათასი. ხუთი ათასი...

მომრები ღიმილით პასუხობენ სოფლაგარს.

მოდან შუბოსნები. ზამბურაკებით დატვირთული აქლემები, ცხენოსნები. ქვეითი ჯარი, ჩაჩქნებით, ფარებით და ხმლებით შეიარაღებულნი. მითათვენ ხარკამებით ზარბაზნებს.

თვალწუდენელი უნასივით მიიკლავება გზაზე აზატ-ხანის ურიცხვი ჯარი.

სახმარის სულ პაპარებს

ყველაზე მეტად პატარებს ფერადფერადი ზღაპრები და მხიარული ლექსები უყვართ. კარგ ზღაპარს ყურებადკვეტილი უსმენენ, მხიარულ ლექსებს ზეპირად სწავლობენ და ხშირად ერთმანეთსაც



ეჯიბრებიან ლექსების თქმანი. ყველას, ყველას დაუდგებენ ყურს ოღონდაც კარგი წიგნი წაუკითხოს ვინმე.

ახლახან ყველაზე პატარა მკითხველებმა ახალი ძვირფასი საწეპარი მიიღეს — ჩვენი ცნობილი პოეტის მაცუალა მრეველიშვილის პატარა ლამაზი წიგნი — „კიკილი-კიკილი კიბესა“.

რაზე ამ პატარა წიგნში ლაპარაკი? ყველაფერზე. რაც კი შეიძლება სკოლამდებულ აინტერესებდეთ — სოკოს ციხე-სიმაგრეში გაზაგრებულ ყურკვეთა ბაქიებსა და მტყუალარა მელაზე, ქანდარაზე შემომჯდარ ყოყლოჩინა მამალზე, წყალში აწოწილა ქანკებით ჩამდგარ ყანჩაზე, რომლის შინითაც „ბაყაყები აღარ ხტინან მალაყებს“. ამ პატარა წიგნში ყველაფერი

ცოცხლობს და უცნაურად იქცევა; ყველას უნდა გუზინანდ აცინოს პატარა ბიჭუნები და გოგონები. ვის უნახავს კურდღელი გალობდეს ცაში, ხოჭოს უღლედ ემგას, იხვი დახტოდეს ხეზე, ციცივი ნიჩაბს უსვამდეს, კალმახი წიგნს კითხულობდეს, ან სპილოს ბოტები ეცვას და დაბოტებდეს. დათვი ფულურში ელნათურას ანთებდეს. თქვენ იტყვით არაუიო! მე კი გეუბნები. გადაშალეთ წიგნი და ნახათ რა კოხტად უპირავს კალმახს ვადაშლილი წიგნი, ციკუს კი ნიჩაბი. სპილოსაც ძალიან უხდება ბოტები. შეჯველად მოგეწონებათ ლექსი ყურადღებთან მურიაზე. ის არაუიო არ აზაგერინებს თავისი გზოს კრუხეწიწილას. მანქანასაც კი ვადაუხტა — მე ვიცი და მაგანაო.

როგორ არ ვიცინოთ: თავების სოროსთან მიმდგარა კატა და ეუბნება: გარეთ გამოდიო, აქ როდი ედგავარო. თავგები არც ისეთი ტუტუტუები არიან. კატას რომ ჰგონია — ფესისაც არ გამოადგამენ გარეთ.



ბერმა შეიძლება ამ წიგნში თავისი თავი აღმოაჩინოს. პატარები თვითონ მიხვდებიან ვიზეც არის და — როგორც ლექსი, როგორც წიგნი თავიანთ პირდაუბანეულ ამხანავს შეხვდებიან.

ბებიას ყველას უყვარს, მაგრამ განა ყველა ისეთი ყურადღებინაა მისიდამი როგორც ის გოგონა, კატას რომ ტუტსაყს:

ჩუმად, ფისო,
ნუ ენავი,
ნუ გარბინარ წინა,
თითისწვერზე
დავიდივარ,
ბებოს ჩაეძინა.

მხატვარ შალვა ცხადაძეს დიდი სიყვარული დაუსურათებია წიგნის ყოველი გვერდი. ამ მხრივაც საინტერესო და მიმზიდველია წიგნი. სწორედ ასეთი წიგნები ესაქუროებათ ჩვენს პატარა მკითხველებს.

ა. ზოგიაშვილი

„ოთხი დრო“

ახლახან „საბლიტგამა“ კარგი საწეპარი უძღვნა ჩვენს პატარა მკითხველებს; ესა ლამაზად გაფორმებული თემატური კრებული — „ოთხი დრო“. წიგნი ოთხი განყოფილებისაგან შედგება. წელიწადის ყოველ დროს თავისი სილამაზე აქვს და, რასაც არ უნდა გვასწავლიდნენ ამ წიგნში მოთავსებული ლექსები თუ მოთხრობები, ზღაპრები თუ პოემები, — თვალწინ მშობლიურ ბუნებას, მის მომხიბლავ ფერებს ვადაგვიშლიან.

აკაკი წერეთლის, შო მღვიმელის და ჩვენი საყვარელი საბჭოთა მწერლების




ნაწარმოებთა გვერდით. აქ ნახათ რუსულ და უკრაინულ, გერმანულ და ესპანურ, პოლონურ, იტალიურ, სპარსულ, ბირმულ, ავღანურ ლექსებსა და მოთხრობებს, ნაკვეთებს და არაკებს. „ოთხი დრო“ არა მარტო საშობლო კრებულია, არა მარტო მშობლიურ ბუნებას გაცნობს!

ხომ ლამაზია ბუნება? მაგრამ, როცა წაიკითხავთ ამ წიგნს, კიდევ უფრო შეგიყვარდებათ იგი. ოცნებით მოიფრენთ უცხო ქვეყნებს, ტროპიკებსა და ჯუნგლებს, კიდევ უფრო შეგიყვარდებათ ჩვენი დიდი ქვეყანა, სურვილი დაგებადებათ საკუთარი თვალთ იხილოთ მისი ლამაზი მთავორები, მისი ქალაქები და სოფლები, მისი გამრავლ შრომისმოყვარე ადამიანები, რომელთა ცხოვრებას წელიწადის ოთხივე დროში აქვს თავისი ენა და სილამაზე.

„ოთხი დრო“ მდიდრულადაა დასურათებული ცნობილი ქართველი მხატვრების მიერ და დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე. ბავშვებო, წაიკითხეთ იგი.

ალ. კოპაჩია



„პიონერი კარგი
ახსანაბია,
ზრუნავს
„შეცროსუვა““



ოქტომბრელები

უზროსი მგობრები

ეს იყო ზამთრის არღადღებების მზიარულ დღეებში. სკოლის ეზოში ცოცხალი ნაძვისებ იდგა. ათასფერად ელავდა იგი. ბავშვებმა წრე შემოაველეს ნაძვისებს; უმღერეს. ლექსები უთხრეს. მერე კი საკარნავალო ჯგუფი დაიძრა: ზღაპრულ მზეთუნახავს ქოჩორა გლეხის ბივისათვის ჩაველო ხელი; ბურატინოს ანბანის წიგნი აშოგელ-ლაიკებია და წრიბინით იწვედა წინ: მას წითელქუდა მისდევდა; კომბლე სახრეს ატრიალებდა; ყურცქვიტა კურდღელი კი სუბ-სუბით მიიკვლევდა გზას ნაძვის-ხისაკენ.

— ნაძვის ხეო. ლამაზო! ყველამ ერთად წამოიწყო წკრიალა სიმღერა.

ეს ხომ ღალი კობერძია!

ეს ცისანა საგინაშვილი! — იცნეს მგობრებმა პირველკლასელები. ერთი ცელქი კი ჯამბაზის ტანსაცმელში გამოწყობილ ბიჭუნას გადაუდგა: არ მოგეწვები, ვიდრე არ გიცნობო. ბოლოს მართლაც ყველა მათგანი იცნეს: უკუქაუაძე, ჯიქია, რაზმაძე, გოციროძე, პულიძე... მშვენიერ კოსტუმებსა და ნიღბებში გამოწყობილიყვნენ პირველკლასელები. ზემის მონაწილე პიონერებმა ტაშით დააჯილდოვეს ისინი: ყოჩაღ, ოქტომბრელებო! ასე კარგები უნდა იყოთ სწავლასა თუ გართობაში!

თბილისის 88-ე სკოლის პირველკლასელებს ყველაზე მეტად ის ახარებდათ. რომ საკუთარი ხელით შეიკერეს საკარნავალო კოსტუმები. ცისანამ ქართული კაბის სარტყელი ამოქარგა. ლაღმ წითელი ქუდი მოიკისოვა, გვიმ მგლის ნიღაბს კბილები დააკრეპინა და აპა, ნაძვის-ხესთან თავი გამოიჩინეს მგობრებმა.

მაგრამ პატარების წარმატება მათზე ნაკლებ როდი უხაროდათ პიონერებს — მგორერაზმულ ლიანა აბაიშვილსა და დარიკო არუთინოვას! იქნებ იეთხოთ. ლიანა და დარიკო აქ რა შუაში არიანო? მაშ, ჰკითხეთ მეექვსე კლასის პიონერებს. ყველა მათგანი გეტყვი. თუ რა სიყვარულით შრომობს მათი თანაკლასელი ლიანა აბაიშვილი ოქტომბრელებთან. სკოლის უფროსი პიონერ-ხელმძღვანელი ციალა ლობჯანიძე კი სიამოვნებით მოგიყვებათ დალი ვარძელაშვილისა და გიგი ვლოველის ამბავს. რაზმეულის სამბუო ამაყობს მათი სახელით. ისინი მზრუნველობით დატრიალებდნენ თავს პატარებს, რომლებმაც გუშინ მიატოვეს საბავშვო ბაღი. ასსოეთ ლიანასა და დარიკოს. რა ძნელი იყო მათთვის პირველი დღეები სკოლაში. აქ მართკ სიმღერასა და ხატვას კი არ უნდებოან! მერხზე წყნარად უნდა იჯდენ: კალმისტარი წესიერად უნდა დაიკრო: ჩხირი ჩხირი უნდა მიუმტატო, გამოაკლო... ბვერი რამ ახალი უნდა ისწავლო და შეითვისოს. და ასეთ სინწულეებით საესე დღეებში რა კარგია, როცა პიონერი მგოვა შენთან. თუ კარგი



ოქტომბრელი
დალი კობერძე

ნიშანი გაქვს მიღებული, გაგიღიმებს, შეგაქვებს. თუ სუსტმა ნიშანმა გული გატკინა,—ჩაქინდრულ თავს აგიწეხს, თვალეში ნუგეშით ჩაჯხედავს: არა უშავს, მეგობარო, ვისწავლით, გამოვასწორებთ!..


დაპირება

მრავალნაირი ფიცი არსებობს ქვეყნად. ჩვენს მამაც საბჭოთა არმიელებს საფიცრად სამშობლო ჰყავთ. როცა საშაშულო ომის მრისხანე წლებში მტრის წინააღმდეგ კრასნოდონის ახალგაზრდობა გაერთიანდა, მათაც სამშობლოს შეჭმეცეს—ვიბრძოლებთ, ვიღრე ჩვენს მიწაზე უკანასკნელ ფაშისტს არ გაევიანდგურებთო. ეს იყო მრისხანე ფიცი, გამთბარი სამშობლოს სიყვარულით. საბჭოთა ახალგაზრდობა არასოდეს დაიფიცებს, რომ „ახალგაზრდა გვარდიელები“ ბოლომდე ამ ფიცის ერთგულნი დარჩნენ...



— ჩემად! აქ ოქტომბრელთა რიგებში გვიღებენ! — ამბობს პატარა მარიატა ალაუშვილი.

თავისებურ ფიცს სდებთ თქვენც, როცა პიონერთა რიგებში შედიხართ. ესაა პიონერის დაპირება: „მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების წინაშე საზეიმო დაპირებას ვიძლევი, რომ მხურვალედ მეყვარება ჩემი საბჭოთა სამშობლო. ვიცხობვარ, ვისწავლი და ვიბრძოლებ ისე, როგორც ვვიანდერძა დიდმა ლენინმა, როგორც გვასწავლის კომუნისტური პარტია!“



ოქტომბრელი მალაქა ხატიაშვილი.

თითოეული თქვენგანი ცდილობს ომხიანად, დაუბრკოლებლად წარმოთქვას ეს დაპირება. გრძობთ, რომ ყველას თვლით თქვენ მოგჩერებათ. ამიტომ ერთ წაბორძიკებასაც ვერ აპატიებთ თავს.

მათ კი იმ დღეს ვერ დაუბრუნებ მღელვარება. რაზე ულის საბჭოს სხდომაზე რომ შემოვიდნენ, ზოგი მათგანი დაიბნა, ზოგმა წინსაფარს დაუწყო წვალბა, ერთს კი ნაბიჯიც აერიო. პიონერებმა გაიღიმეს. მიუხედავად პატარებს: დღეს მათთვის მეტად მნიშვნელოვანი დღე იდგა. დიდი ოქტომბრის სკოლისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, რაზე ულის საბჭო ოქტომბრელთა რიგებში იღებდა მოწინავე პირველკლასელებს. სკოლაში გატარებულმა პირველმა ორმა თვემ ბევრ მათგანს მოუპოვა უწყობა ოქტომბრელად გახდომისა.

მართლაც რომ, კარგი მოსწავლეები არიან პირველკლასელი ჯემალ ჰაევაძე, ელგუჯა ხატიაშვილი, დალი კობერიძე, ცისანა საგინაშვილი და მათი მეგობრები. კარგი სწავლით. ზრდილობითა და შრომისმოყვარეობით დამსახურეს ოქტომბრელის სახელი. მაგრამ სამ მეგობარს, სამ მეორეაზმელს—ლიანას, დლისა და დარიკოსაც დღეს გაუთენდათ სიხარულის დილა. პატარებზე ნაკლებ არც ისინი ღელავდნენ. დიდი ხანი ისინიც ამ დღეს რადდნენ, ამ დღისათვის იღვწოდნენ.

ეს რამდენიმე ხანია სამივეს ხშირად ხედავენ უმცროსკლასელებთან. შესვენების ზარი რომ დაირეკება, პატარებით გარშემოხვეულნი დასეირნობენ დერეფანში. დიდ შესვენებაზე პიონერთა ოთახში იყრიან თავს. რამდენჯერმე გაკვეთილების შემდეგაც დარჩნენ. „ნეტავ პატარებთან რა საქმე აქვთო?—ჰკვირობდა ზოგი უფროსკლასელი. ცნობისმოყვარეებმა მალე შეიტყეს სამი მეგობრის ამბავი. მეხუთეკლასელმა გივი გლოვამა თავი გამოიღო. გოგონებზე ნაკლებ არც მე მოვეუწიე მაგ საქმესო. და სანაქებოდაც მოუარა! შეიძლება თქვენ უკვე ხელებით, რა აკავშირებდათ პირველკლასელებსა და უფ-

როსებს ერთმანეთთან. ისინი მომავალ ოქტომბრულებს ეხმარებოდნენ. ახლა კი იმ მნიშვნელოვან დღეს დაუბრაუნდეთ, როცა ოქტომბრის მზე პიონერს თათას ანათებდა და უფროსები ღიმილით ისმენდნენ ოქტომბრულთა დაპირებას. იცით, რა თავისებური იყო იგი?

მათ იცოდნენ, რომ ოქტომბრული უნდა იყოს მოწინავე მოსწავლე, წესიერი, თავაზიანი, სიმართლისა და შრომის მოყვარული. მაგრამ მდელეკარების გამო ყველაურის თქმას ვერ ახერხებდნენ.

თუ ლაღმ მკვირცხლად წარმოთქვა: „ჩვენ ვიქნებით საამაყო ოქტომბრელები, ხუთგებზე ვისწავლით, დღდას ოჯახში მივეშველებით და, ფიცს ვდებთ, ოქტომბრის მონაპოვარს დავიცავით“. ქიჩორა ელგუჯამ მთლად დაირცხინა. მეგობრებმა ხელი წაჭკრეს, რა დაგეზარათო. ბოლის ძლივს ამოიღო ხმა: „პირობას ვდებ, სანდროს მსგავსი არ ვიქნები, ყველა ნივთს თავის ადგილს მივუჩენო“. ოქტომბრელებს სიცილი აუტყდათ, პიონერები კი ერთხელ კიდევ ჩაეკითხნენ, რა პირობას სდებო?

გამოიკვა, რომ ელგუჯას ძალიან მოეწონა ერთი მოთხრობა, რომელშიც ზარამც სანდროს ამბავი იყო აღწერილი. სანდრო არ უფროთხილდებოდა წიგნებს, რვეულებს და სხვა სასწავლო ნივთებს. გამოიღვიძებდა თუ არა, ტანსაცმლის ძებნას შეუდგებოდა. — ზოგი სკამიქვეშ ეყარა. ზოგი ლოგინქვეშ. პატარა ელგუჯა გულბიანდ იცინის ხოლმე ამ მოთხრობის კითხვისას. მაგრამ სრულიადაც არ უნდა, რომ სანდროს ჰგავდეს.

ჯემლად ჰკეპავებენ განაცხადა: ვისწავლი ისე, როგორც ძია ლენინს გაეზარდებოდაო. დალი კობერიძეს ლოყები აუწითლდა, როცა თქვა — მთელი სიცოცხლე ყვეაილებისა და ნარკავეების მეგობარი ვიქნებიო.

— ჩვენ ყვევ ოქტომბრელები ვართ! — ღიმილით შესძახეს პატარა მეგობრებმა.

ოქტომბრელები თავიანთი ნიშნით ამაყოენ, ესაა სუთქიმიანი ვარსკვლავი. ჩვენმა პატარა მეგობრებმა ნაკუთართი ხელით გამოკერეს მუყაოს ვარსკვლავი და წითელი აბრეშუმი გადააქრეს.

— ახლა კი მუშაობას შეუდგეთ! — გადაწყვიტეს ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა პიონერებმა და პირველი კლასის კარები ეს მერამდნენდ შეაღეს. ვარსკვლავი სუთქიმიანია. ამიტომ ოქტომბრელები სუთ ჯგუფად დაიყვნენ; მათ, ვისაც ძერწვა, ხატვა, ქარგვა და სიმღერა იზიდავს, მხატვრული აღზრდის გადაწყვეტილი მოუყარეს თავი. ნორჩ მემტრედეთა და მეყავილეთა ჯგუფებიც შეიგსო ოქტომბრელებით. ზოგი ძლიერი ოქტომბრელი პიონერმა ლიანა აბიოღეშვილა აკადემიური მოსწერების ჯგუფში გაერთიანა. ისინი თანაკლასელების წარმატებას უნდა აქედნენდ ყურადღებას. დანარჩენებმა სანიტრის თეთრი ჩანთები გადაივიდეს.

მაგრამ ხომ შეიძლება სანიტრასაც მოსწყინდეს თავის საქმე? ნორჩ მეყავილეს კი ფერადი ფანქრებისაკენ გვექცეს თვალი? ამიტომ პიონერებმა გადაწყვიტეს ოქტომბრელთა ჯგუფების ფუნქციები შეუცვალონ ხოლმე. ვთქვათ, დღეს გვიმე მტრედები გამოზარდა, მაგრამ ხვალ იგივე მტრედები მოასკილნით გამოძერწა. განა არ შეიძლება მხატვრული აღზრდის ჯგუფში გადაიყვანონთ იგი? ანდა გულნარი, რომელმაც უკვე შესწავლა მხატვრული კითხვა, ახლა სკოლის ნარკავეებს მიუჩინონთ? ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელებმა იმსჯელეს და ასეც გადაწყვიტეს. ახლა პატარებს არასოდეს სწყინდებთ თავიანთი საქმიანობა. ფანჯრის რაფებზე მათი გახატებული ყვეაილებია ჩამორიგებული. (ოქტომბრელები მცენარეთა ცხოვრებას ხომ უნდა იცნობდნენ?) გამოძერწილი ფიგურებიც რაფაზეა ჩამწყობებული. სკოლის ნარკავეებსაც ხშირად დახედვენ ხოლმე ოქტომბრელები. და ყველგან, ყოველთვის, წითელყელსახვევიანი მოსწავლეები არიან მათთან. აი, გუშინ თოჯინების თეატრში წაპყენენ უფროსები პატარებს. ამას წინათ სიბავშვო ფილმიც ერთად ნახეს. პიონერებმა იციან რა ახარებდა და რა აწუხებთ უმცროს მეგობრებს. წინა მეთოთხედში, ერთმა ოქტომბრელმა რომ სუსტი ნიშანი მიიღო, ლიანა აბიოღეშვილი მასზე ნაკლებ როლი შექუხდა. არდადეგების დღეებიც არ დაიშურა და პატარა ბიჭი ისევ მერხზე ჩამოსვა, წოინე გადააშლევინა...

ასე შინაარსიანად და ხალისიანად მუშაობენ ოქტომბრელები პიონერთა დახმარებით.

ქ. ლომიძე

ფოტო თ. თურქიასი



პატარებს ხშირად ხახვთ ოქტომბრელთა ბაბლიოთეკაში, რომელიც პიონერებმა მოუწყვეს წით.



გ ა მ კ ა რ ე ზ ე

ს ა მ კ ა რ ე ზ ე

ბევრმა თქვენგანმა ალბათ არც კი იცის, რომ თითქმის ყველა გამოჩენილ სპორტსმენს თავის შრომითი დღეს, როგორც წესი, დილის ვარჯიშით იწყებს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს უბრალო თავისუფალი ვარჯიშები გაჯანსაღების, სხეულის გამოწვრილების, აღაზიანის სისხლისა და ძლიერების ერთ-ერთი წყაროა. ტყუილად კი არ წერია თქვენს კანონში: „პიონერი თავის თავს აწრთობს, ყოველდღე ასრულებს გამაზნებებელ ვარჯიშს.“

ქვემოთ აღწერილი რამდენიმე იოლი ვარჯიში, რომლის შესრულებაც ყოველ თქვენგანს შეუძლია. არ დაგეჟვით ამ ვარჯიშების სიმარტივემ, ნუ დაგეზარებათ, სისტემატურად ივარჯიშეთ, შეაჩვიეთ სხეული და მალე დარწმუნდებით მის დიდ ძალაში—იგი ისევე აუტილებთეოთ გახდება თქვენი ორგანიზმისათვის, როგორც კვება და ძილი.

ვარჯიში პირველი:

დადგით სწორად. ფეხები მხრების სივრცეზე, ხელები თავისუფლად, ძირს დაშვებული. (სურ. 1).

ნელ-ნელა აიწიეთ ცერებზე, ასწიეთ ხელები, ისე რომ შეინარჩუნოთ სხეულის სწორი მდგომარეობა. ამასთან ღრმად ჩაისუნთქეთ. დაუშვით ხელები, დადგით ტერფებზე და ამოისუნთქეთ. გაიმეორეთ 5—6-ჯერ.

ვარჯიში მეორე:

დადგით პირდაპირ. ფეხები მხრების სივრცეზე, ხელები მკერდზე, იდაყვებში მოხრილი. ნები ქვემოთ. ცერა თითები სხეულისაკენ (სურ. 2.) ტანი მოაბრუნეთ მარცხნივ, თან გაშალეთ მარცხენა ხელი, რაც შეგიძლიათ. მოაბრუნეთ სხეული მარჯვნივ. მოხარეთ მარცხენა ხელი, ვაშალთ მარჯვენა, ამოისუნთქეთ. ეს მოძრაობა ჯერ ნელა გააკეთეთ, შემდეგ თანდათან აჩქარეთ. მიაკციეთ ყურადღება სუნთქვის რიტმულობას. გაიმეორეთ 10—12-ჯერ.

ვარჯიში მესამე:

დადგით სწორად. ქუსლები ერთად, ხელები თავისუფლად გაშალეთ. ორივე გაშლილი ხელია გააკეთეთ წრიული მოძრაობა, ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მხარეს. გაიმეორეთ 10—12-ჯერ (სურ. 3.)

ვარჯიში მეოთხე:

ფართოდ გაშალეთ ფეხები, ხელები თავს ზემოთ, ტერფები ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, წელის გარშემო ატრიალეთ ზედა ტანი, მაჯებიდან მარცხნივ, შემდეგ მარცხნიდან მარჯვნივ. გაიმეორეთ 6—8-ჯერ. (სურ. 4.)

ვარჯიში მეხუთე:

დადგით სწორად, ფეხები ერთად, ღონი-

ჯი, მარჯვენა ფეხი გაკიბულ მდგომარეობაში გასწიეთ წინ, შეიღვებ—გვერდზე და უკან. ასეთივე მოძრაობა გააკეთეთ მეორე ფეხით. (სურ. 5.) ისუნთქეთ რაც შეიძლება ღრმად. (თუ წინასწორბა ვერ შეინარჩუნეთ, შეიძლება რამეზე ხელით დაყრდნობა).

ვარჯიში მეექვსე:

დადგით სწორად, ქუსლები ერთად, დახარეთ სხეული მარცხნივ. მარცხენა ხელი ჩაუშვით სხეულის გასწვრივ ძირს, მარჯვენა ხელი ასწიეთ, ილიამდე. (სურ. 6.) შემდეგ, შეუჩერებლად გასწორდით და გააკეთეთ იგივე მოძრაობა მეორე მხარეს. გაიმეორეთ 6—8-ჯერ.

ვარჯიში მეშვიდე:


შედგით ცერებზე, გაკეთეთ ღონიჯი, ცერა თითები ზურვისაკენ. ამ მდგომარეობიდან გააკეთეთ ხტუნები ისედაც. ტანი და თავი გააჩრეთ სწორად. ისუნთქეთ რიტმულად, ღრმად. გაიმეორეთ 10-20-ჯერ. (სურ. 7)


ვარჯიში მერვე:

დადგით სწორად. მთელი ძალით ჩაისუნთქეთ. დაიხარეთ, რაც შეგიძლიათ. თავი და ხელები წინ, მოადუნეთ კუნთები. ამოისუნთქეთ. გაიმართეთ და შემდეგ ისევ გაიმეორეთ 4—5-ჯერ. (სურ. 8)

ზუსტად აღწერილი

შენიშვნა: ზამთარში, თუ ტემპერატურა 5—10 გრადუსამდეა, დილის ვარჯიში შეიძლება აივანზე ან ეზოში გაკეთდეს, გახსოვდეთ, რომ სუნთქვა ყოველთვის ცხირობიდან უნდა სწარმოებულს. ვარჯიშის შემდეგ ტანი სველი ტილოთი უნდა დაიხლოთ, შემდეგ როდესაც საკმაოდ გამოიწრთობთ, შეიძლება უფად ტანი წულთი დაიბანოთ.





ჩვენს ქვეყანაში

მანდარინ შუკუო ლოს, მატრა ქაღარაწერიან მოხუცს, ძლიერ უყვარდა აუვაგებულო, სურნელოვანი ფანხინით გარშემორტყმულ ღია აივანზე ჯდომა. შორიდან გვეგონებოდა, რომ შუკუო ლო თვლიდა, მაგრამ დახრილი ქუთუთების ქვემოლან მოხუცი ფიზიკად აკვირდებოდა გამკვლელებს და მახვილი სმენით იჭერდა ყოველ მათ სიტყვას. სასახლე იდგა გაიერი ქუჩაზე, სადაც მუდამ სიცოცხლე დუღდა: ბაბბუკის ჭოკებით მუშებს მძიმე კალათები მიჰქონდათ, მიაკრიალებდნენ ურმებს გაბურტყნული კამჩები; ვაჭრები უხმოდნენ მუიდევლებს და ქებას ასხამდნენ თავიანთ საქონელს. ყველა, ვინც სასახლის წინ გაივლიდა, მანდარინს პატივისცემის ნიშნად თავს უკრავდა.

მაგრამ, აი, ერთხელ, შუკუო ლომ შენიშნა ღარიბულად გამოწყობილი კაცი. ის ნელა მიუახლოვდა სასახლის კიშკარს, შეჩერდა, ზურგი შეაქცია მანდარინს და დავიწყებით დაუწყო ცქერა მზეს. მანდარინი გააკოცა მისმა უზრდელობამ და ბრძანა მიეყვანათ მასთან უცნაური გამკვლეო.

ეს იყო ხანში შესული, ფეხშიშველი, დაძინილი კაცი. შარვლის ტოტები მუხლებამდე აეკაიწებოდა, მხარზე კი უხეში დაწული ჩანთა ეკიდა.

— შენ მე ზურგი შემომპატიე და მხოლოდ მზეს შესცქეროდი, — უთხრა მანდარინმა, — რატომ არ მომხალმე ამ მხარის მმართველს?

— ო, ბატონო! მე მზეს შევცქერი, რადგან კარგად ვიცი, სად არის ის. შენ კი, მამაკაცი, სრულიად არ გიცნობ, — მშვიდად მიუგო გამკვლეობა — მზის სხივები ჩემს სახეს ეალერსებოან, შენი ალბრისი კი მე არ მახსოვს. მაშ, რად მოგესალმო, რისთვის იყუო შენი მალღიერი?

— შენ გაბედულად ლაპარაკობ — გაიკვირვა შუკუო ლომ. — განა არ იცი, რომ შენ თვით იმპერატორის ნაცვლის წინაშე დგახარ? მე შუკუო ლოს მეძახიან!

— ო, ბრძენო, გამოიდა ეგ სახელი, მაგრამ მამაკაცი, მე ბრძა ვარ! — ისევ მშვიდად წარმოთქვა გამკვლეობა. — ნება მომეცი, მეც ვიბარო ჩემი ვინაობა. მე გამოჩენილი მოქანდაკე ვიყავი, მაგრამ ჩემმა ბატონმა ბრძანა დავებრმავებინე ის თავს იქებს სხვა ბატონებთან იმით, რომ მხოლოდ მას ერთს გააჩნია ჩემი შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები. მას ეშინოდა, — არ შემეძქნა რაიმე უფრო იშვიათი სხევისათვის.

ახე გავხდი უსინათლო... ჩემს ირგვლივ უკუნეთია, წინ — სამარადისო ღამე. მაგრამ მე არ ვწუხვარ. ხალხისადმი სამსახურს ჩემთვის სისხარული მოაქვს, ჰაერი

ნახ. დ. ნოღიასი
თარგმნა შ. აბლაძიძე
ვიქიბნამური ზღაპარი

თითქმის ათასი წლის მანძილზე ვიეტნამელ ხალხს ჩინეთის იმპერატორის ნაცვლები — მანდარინები მართავდნენ. ისინი ატარებდნენ აბრეშუმის გრძელ ტანსაცმელს და ხარბ ხელებს განიერ სახელოებში მალავდნენ, რათა გაუფრთხილებელი უხეტებით არ გაეშუღავებინათ თავიანთი ნამდვილი გრძნობები — ბორკთება და სისარბე. მაგრამ მანდარინებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ქვეყანას სინდისიერად მართავდნენ და ძალიან არ ავიწროებდნენ ღატაკ ხალხს. ერთი მათგანის სახელი ზალმა სამუდამოდ შემოინახა მესხიერებაში.



და მზე კი ბედნიერს მხდიან. მზე კეთილია, ის ყველას უგზავნის თავის სიბოხს. ხალხი ამბობს, რომ შენც კეთილი და სამართლიანი ხარ, ნება მომეცი დავრჩე აქ, და შენ არ ინანებ. მე კიდევ შემბოლია შექმნა ბევრი შესანიშნავი ქადაგება, თუ კი სამართხოვრო არ შექნება ერთი მუტა ბრინჯი.

მანდარინი ჩაფიქრდა და შემდეგ გადაწყვეტილი მიუგო:

— კარგი შეგიძლია დარჩე. ჩემი სასახლის შესასვლელიან დღეს უზარმაზარი ლოდი — სამუშაოდ ის გეუფოა რამდენიმე წლის მანძილზე, ბრინჯი კი არ შეიშავდება.

— გამაღობ, ო, ბრძენო! — თავი დახარა მოქანდაკემ.

ბურუსიანი ამინდში, სიციხესა თუ სიცივეში, ზოგჯერ კი წვიმაშიც, პალმის ფოთლების საფარქვეშ ბრმა მოქანდაკე დაუღალავად თილიდა ლოდს. თანდათანობით გამოიკვეთა უზარმაზარი თათები, შემდეგ გრძელი, გვერდზე მოხრილი კუდი, ბოლოს კი — ჰიქირისაყენ მიმართული დრუსჩი.

ასე შეიქმნა ქვის ქოფაკი, მანდარინის-სასახლის შესასვლელის მცველი, და შუ კოო ლო კმაყოფილი იყო ბრმა მოქანდაკის ოსტატური ნაწარმოებით.

გავიდა წლები. ბრმა მოქანდაკე გარდაიცვალა. ხალხში ხმა დაიარსა, თითქოს სიკვდილის წინ ეთქვას: „ქოფაკი გატოხლდება და დაიფეთებს მაშინ, როდესაც სასახლეში შვევა ადამიანი, რომელიც ქვეყნის ისეთივე სამართლიანი მმართველი იქნება, როგორიც შუ კოო ლო იყო.“

ყოველ სამ წელიწადში ერთხელ სასახლეში იკრიბებოდნენ ჰაბუკები, რომლებსაც სურდათ იმპერატორის მოხელეები გამხდარიყვნენ. მანდარინი ყველას სცვიდა — ამოწმებდა მათ ცოდნას, ეკითხებოდა, რას და როგორ სწავლობდნენ. ჰაბუკებმა ზეპირად იცოდნენ კანონები, ძველ ჩინელ ფილოსოფოსთა წიგნები, და ერკვიოდნენ სამართლის ურთულეს საკითხებში.

ყველა ისინი ჩინელ და ვიტანამელ მდიდართა შვილები იყვნენ. მათ არასოდეს განეცდათ გაიკრებმა, არ ემუშავათ მინდვრად, არ ეგარძნოთ შიმშილი. ჰყავდათ საუკეთესო მასწავლებლები და ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ მეცნიერების დაუფლებებისათვის. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მათ წინ იმდებოდა უფრო ფართო გზა ძალაუფლებისა, პატივისა და სიმდიდრისაკენ.

ჰაბუკები ეგვიბებოდნენ ერთმანეთს კუყამავილობაში. ში, უარესად თავაზიანი იყვნენ და მოწიწებით პასუხობდნენ მანდარინს ყველა შეკითხვაზე. ისინი წარმატებით ახარებდნენ გამოცდებს და ხდებოდნენ უმცროსი და საშუალო მოხელეები იმ იმედით, რომ ოდესმე გახდებოდნენ მანდარინები. მაგრამ ქვის ქოფაკს არც ერთხელ არ დაუყოფია.

ბოლოს, მოქანდაკის სიტყვები თანდათანობით დავიწყებებს მიეცა.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და აი, ერთხელ, გამოცდაზე მოვიდა ღარიბულად ჩაცმული ჰაბუკი. ის ცხოვრობდა ერთიერთ ყველაზე შორეულ სოფელში. მანდარმა მემამულემ მოისყიდა მოხელეები და უსინდისოდ წარათვა ჰაბუკის მამას მიწები. ჰაბუკის შრომები შიმშილით დახოცნენ და იგი ობლად დარჩა. კეთილმა მეზობლებმა მას საშუაო მიცეს და ურჩიეს ესწავლა წერა-კითხვა, ჩასწავლობდა კანონების საიდუმლოებას, რომ შემდგომში მოხელე გამხდარიყო და დაეცვა ღატაკი ხალხი.

ჰაბუკი ასეც მოიქცა.

გლებები მის მოწადინებასა და კეთილ გულს რომ ხედავდნენ, ეხმარებოდნენ ჰაბუკს. ასაჩუქრებდნენ სხვადასხვა ნაყოფით, ბრინჯით და შაქრის ლერწმის ულორტებით. ერთნი ურჩევდნენ ესწავლა უფრო შეუპოვრად, მეორენი კი ეკვებოდნენ: დასძლევს მეცნიერებას, გახდება მოხელე, ჩვენ კი დავვიწყებთ. აი, ნახათ: როგორც კი ძალაუფლებას ხელთ იგებებს, ეგეტ შეგვიარწოვებს, უსოზო ხარკს გადაგვახდევინებსო. მაგრამ ჰაბუკი პატიოსანი და შრომისმოყვარე იზრდებოდა.

მოვიდა გამოცდების დღე. ჩიისხა ჰაბუკმა ბამბუკის ჭურჭელში წყაროს წყალი, შეახვია პალმის ფოთოლში რამდენიმე მუტა მოხარშული ბრინჯი, გამოეთხოვა კეთილ მეზობლებს და გაემართა ქალაქისაკენ.

როდესაც ის მანდარინის სასახლის ჰიშკარს მიუახლოვდა და უამრავი მდიდრულად გამოწყობილი ახალგაზრდა დანახა, შიშმა შეიპყრო. მეკარემ ცხვირაბუებით ახედდახედა მას, ქვის უზარმაზარმა ქოფაკმა კი მოსულს მტრულად დაურბოვა ეშვები.

მაგრამ ეს მხოლოდ მოეჩვენა შემინებულ ჰაბუკს. ჰიშკარი გააღო და ის არავის შეურჩებია. მან ყველა წინ გაუშვა და ბოლოს შევიდა. ქვის ქოფაკს რომ ჩაუარა, ხელი გადაუსვა თავზე და ალერსით წასჩურჩულა: „მო-



წიწებით გისალმები შენ, ერთგული დარაჯო!“ ამ დროს ჩვე მოეჩინა, რომ ჭოფაკი შეირბა, ან იქნებ ღრუბლის ისრულმა გაღიარა ქვის ქანდაკებაზე?...
მდიდარი ახალგაზრდები ათვალუნებით შესქეპროდნენ შიშველ ფეხებს და მახოვრულ ჩაცმულობას ქაბუკისას, რომელმაც გაბედა გამოცხადებულიყო მანდარინის სასახლეში.

მოხუცი შუკო ლო თითქოს თვედმა, მაგრამ სინამდვილეში ფიზულად აკვირდებოდა შერებოლო. მათ სახეებში ის ხედავდა სიამაყეს, შეურაცხყოფელ თვითდაჯერებას და სიხარბეს.

მანდარინი შეუდგა გამოცდას. იგი უურადლებით ისმენდა პასუხებს. ქაბუკები შეცდომებს უშვებდნენ, მაგრამ ცდილობდნენ გაწაფვას და ძველი მმართველის მოტუტებდა. ასევე მანდარინი შეუბარებლად აძვიებდა. ბოლის დარჩენ მხოლოდ სამნი. მათ შორის იყო ღარიბულად ჩაცმული ქაბუკიც.

მანდარინმა განიზრახა შეენოწმებია. ჰქონდათ თუ არა მათ გადაწყვეტილების სწრაფად მიღებისა და სწრაფი მოქმედების უნარი.

დახატო, რაც გინდათ! — წინადადება მისცა მან ქაბუკებს. — მაგრამ დაიხსომეთ: დოღს დაკვრავ — ნახატი მზად უნდა იყოს მანამ, სანამ დოღის ხმა შეწყდება.

სამივემ დალო სახატავე ქალღმირ ფურცელი მისთვის განკუთვნილ მაგიდაზე, მდიდარმა კანდიდატებმა სწრაფად დაასველეს ყალმები ტუშში, მაგრამ მოუქირეს ხელი ყალმებს და ხარბად მიაპურეს მწერა მანდარინს, რომელსაც მაღლა აწეო მსხვილი ჯოხი. ღარიბულად ჩაცმულ ქაბუკს არავითარი მზადება არ დაუწყია, ის მშვიდად ელოდებოდა ნიშანს.

— არე? — შეეკითხა მას შუკო ლო, — რატომ შენც ამა აიღებ ყალმას?

— მე მზად ვარ, სამართლიანო! — მშვიდად მიუგო ღარიბმა.

მანდარინმა კეთილმოწყალებ შეხედა მას და წამსვე დაჰკრა დოღს ჯოხი. დოღის გრგვინის შეწყვეტამდე ქაბუკმა სწრაფად ჩაუშვა თითები ტუშით სავსე პატარა ჯამში და ფურცელზე გადაჯვარდინებული ზიგზაგები დახატა.

— ეს რა არის? — ჰკითხა გავიკრებულმა მანდარინმა. — უვაგილი?

— ო, არა, ბატონო! ეს ათი კეთილი დარაჯონია, რომლებიც მუდმივად მიწაში ბინადრობენ!

— მერე და, განა ეს დარაჯონებია?! — ჩაიჭრქვილეს, კარგად ჩაცმულმა ქაბუკმა. — ეს ხომ საცოდავი ნათხუნია! რაღაც კიბები!

— დიახ, მდიდარი სახლი მათ კიებს უწოდებს, — თავშეკავებით უპასუხა ღარიბმა. — მაგრამ ისინი აფხვიერებენ იმ მიწას, რომელსაც ჩვენ თოხით ვაშუშავებთ. უბრალო ხალხისათვის ისინი მეგობრები არიან, კეთილი დარაჯონები.

— შენ დაიჭრე გამოცდა! — მოკლედ და საწეიმოდ გამოცხადა მოხუცმა მანდარინმა.

მდიდარმა ქაბუკებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძენეს, ბორბად გადახედეს მანდარინს, შემდეგ მას რჩეულს, და დატოვეს სასახლე. ადლევებული, სისარული საგან გაბრწყინებული ღარიბი ქაბუკი აიანვე გავიდა და იმავე წამს ქვის ჭოფაკი ყმაწვილს ყრუ ყვითი მიესალმა.


უველ მხრიდან მობრბოდნენ სასახლის ბინდარინი და მოქალაქინი.

— რატომ მაინც და მაინც დღეს ამოიღო ხმა? — ეკითხებოდა მოსული ხალხი ერთიმეორეს. — რისთვის გამოარჩია მან ვიღაც ღარიბი ქაბუკი? ნუთუ ის დიდგვაროვნებზე უფრო ჰქვიათია?

მაშინ მოხუცმა მანდარინმა ხელი ასწია და თქვა:

— გულმარაბანო! როგორ არ შეგიძლიათ ჩასწვდეთ ცხოვრების სიბრძნეს! ყველა, ვინც დღემდე მოდიოდა აქ გამოცდის ჩასაბარებლად და იმეპატრონის მოხელის უფლების მოსაპოვებლად, ზრუნავდა არა ქვეყნის კეთილდღეობისათვის, არამედ მხოლოდ საკუთარი თავისათვის.

ამ ქაბუკმა კი მონდომა გამდარაცი მანდარინი თავისი გულის კარნახით, რომელიც მოუწოდებდა მას დეცვა ხალხი უსამართლობიდან, დახმარებოდა ღარიბ ხალხს, ჩაენერგა ხალხში უკეთესი ცხოვრება იმედო... ბრმა მოქანდაკემ სწორად იწინასწარმეტყველა, ჭოფაკი გაცოცხლდება მაშინ, როდესაც ღირსეული აღამაინა მოვაო. ო, ქაბუკო! მოდი ჩემთან, შენ იქნები ჩემი თანამშენი, ჩემი სიკვდილის შემდეგ კი ამ მხარის მმართველი გახდები!





რუსთა ბავშვთა ჟურნალი

ქერი

ნახ. გ. თოთბაძის

მე დღემდე არ ვუყვარვარ კიბეებს ცხოვრებას, იგი ისეთი ჩვეულებრივი იყო, რომ ცვლილებას ძნელად თუ შევამჩნევდი. სიმაართლე ითქვას, მე არც ვცდილობდი აბას, აბა, რაზე უნდა მემტერია თავი, სკოლაში კარგად ვსწავლობდი, მასწავლებლები არ მიჩიოდნენ და არც მე მქონდა მათ მიმართ რაიმე სასაყვედურო.

მე მესამე სართულზე ვცხოვრობ. ჩვენს გარდა მესამე სართულზე კიდევ სამი ოჯახია. ყველა ოთახის კარი ერთ საერთო, გრძელსა და ნათელ დერეფანში იხედება, რომელიც სადარბაზო კიბეს ვიწრო ტალანთი უერთდება.

დერეფანში ოთხი ბიჭი ვართ, — ერთმანეთზე ერთი ან ორი წლით დიდ-პატარა.

გია ჩემი ტოლია, აცეცა ყოველთვის ახალი ხალათი, თმა წყლით აქვს დასველებული და გვერდზე კობტად გადავარცხნილი. სამი წლის ასაკიდან სათვალეს ატარებს. გიას მამას ავტომობილი ჰყავს — „ვოლგა“. გიაც მანქანის გასაღებს, რომელსაც გრძელი ფეწვი აბია, გამოიტანს ხოლმე დერეფანში, სალკო თითზე ატრიალებს და სათვალეს ზემოდან ცერად იფურცბა.

დათო აულაყუდაა, მარგალი კოკამდე არა სწვდება. ის ისე ჩქარა იზრდება, რომ ჩვენს ფაბრიკებში ალბათ ვერ ასწრებენ მისი ზომის ტანსაცმლის შეყვარებას... მაგრამ დათო თავის აულაყუდობას არ დარბობს, კალათ-

ბურთის ისე ჩინებულად თამაშობს, რომ კინაღამ ქალაქის ნაკრებში არ ჩაჰყო თავი. მამაც სპორტსმენი ჰყავდა, მაგრამ ფრონტზე დაეღუპა. დათოს დედა ბუფეტში ქურპულს რეცხავს, ხანდახან დათოც მიდის და მუშაობაში ეხმარება.

ზაური ვარისი კვერცხივითაა გალუფი. თავზე წვრილი, თეთრი მუსუსივით აყრია რალაც და ვერავინ მიხვდება, ქერტლია ის თუ თმა. განუწყვეტლივ ცხვირში ქსურტუნებს, ხოლო პირში ბული აქვს გაჩრილი. ლოყებდაც ღაჯაა, ჩაგოდრებული; ხელ-ფეხი რომ შეიკეცოს და დაჯდეს, უზარმაზარი ბურთი გვეგონება.

არადღეებზე, ერთ საღამოს, ზაურიმ წამოიძახა: მოდი, წარმოდგენა მოვაწყოთო. ბიჭებს ეს სასაცილოდ არ ეყით. ბევრი ვიდავეთ, ბოლოს, ზაურის აზრი ყველას ჰკუთნა დაგვიჯდა და გადაწყვეტივით წარმოდგენა დაგვედგა.

მე წვინი მქონდა, სადაც პატარა პიესები იწერა. როდესაც გავიყავით, მეორე სართულიდან ლიასა და ქეთოს დავეძახეთ, რადგან წარმოდგენაში ორ გოგონასაც უნდა ეთამაშა.

სამზადისს შევედუქეთ. მალაზიაში პარიკები ვიცოდეთ, საღებავით სახე გავიღამაზეთ და სათეატრო ტან-



ზაური ლეჟებელაძეა, ჩავადრებულნი ზღა-ფები რომ შეიკეთეს და დაჯდეს, უზარმაზარი ბურთი გვიჩვენება.

საკელის საამქროდან, სხვა სამოსთან ერთად, მეზღვაურის ქუდიც გამოიკიანეთ.

წარმოდგენაში ისე უნდა ყოფილიყო, რომ ერთ-ერთ ჩვენგანს, გაბრაზებულს, ეს ქუდი ბუხარში უნდა შეეგდო. ბუხარი ჩვენ ხისაგან გავაკეთეთ, მწვანედ შევღებეთ, ხილი ძირში ელექტროქურა ჩავსვდეთ.

ნამდვილი ქული რომ დამწვარიყო, ჩვენ ზარალს ვერ ავანახლავდებით. ამიტომ, წინასწარ მოლაპარაკებული ვიყავით, ბუხარში ქალადის ქული შევებდო, რასაც ჩვენი მაყურებელი ალბათ გვაპატიებდა...

მაგრამ შემოვიდა თუ არა „სკენაზე“ ზაური, როლი აერია, თვალბეჭ აერია და ელქურაზე ნამდვილი ქული დააგდო. ერთი ხნადიბლა კი შევძახეთ „რა ჰქენია“, მაგრამ გვიანდა იყო. ქუდს გული ამოეწვა და ძლიერ მიეცწვრა, ბუხარში სულ დაიფრთხლებოდა.

უფროსებს შევწინდით. გიას მამა ტელეფონს ეცა და სახანძრო რაზმის გამოძახება უნდოდა. ბებიამეში ევლ-როთი წყალს მოარბენინებდა, მაგრამ მე შევეწყვიტე

წარმოდგენა და ხმაილა გამოაცხადებინე. მწკრივად, ეს წარმოდგენაში ასე უნდა მოხდეს. მსახურის გესტოზე შეტი რა გზა მქინდა. ქული ძალიან დამენანა, მაგრამ უცბათ სხვა გამოსავლი ვერაფერი მოვიფიქრე...

მაყურებლები დამშვიდდნენ, მაგრამ ვაი ჩენს! ხსიათი წავებოდა, წარმოდგენა მივაფრენებთ და, როცა ხალხი დაიშალა, საფიქრებელმა დავგვეცვლა ახალი ქული სად გვემოვა?

დათომ დაძახა, ფული მოეკარგოთ და შილახაში ახალი ქული ვიყიდოთო. ყველა დეთანხმა, მაგრამ ფული კი არავის მოჰქინდა; სხვას რას დავემდურებოდი, მამამ მე სამი პანეთის მეტი არ მომცა. საშინლად დავლონდი. აღარ ვიცი რა შექნა. ქული საამქროდან ჩემს ვეარზე იყო გამოტანილი და პასუხსაც ალბათ მე მომთხოვდნენ.

ღერეუანში გამოვევარი, ბიჭებს სათითაოდ დაველბიჯე. იპაოღ. დამკინეს „რაე მოგივა დაეთოთო“... ვიამ ახალ ხალხზე ისე დაისვა ხელი, თითქოს საკუთარ თავს ეალერებო. მანქანის გასაღები ცხვირწინ დამიბზაროდა. ზაურიმ, ნამდვილმა დამნაშავემ, უდარდლად წამოიძღრა... ვაოკებოსაგან გავშრი, აღარ ვიცი რა შექნა. ჩემი გაპირება შინ ვერ გავმეხილა, რადგან, როცა ქული საამქროდან უნდა გამომეტანა, მამის შობლებს არაფერი ვუთხარი, ახლა კი, როცა ქოთანი გავეხილი იყო—მერიდებოდა. რა წყალში გადავარდნილიყავ, არ ვიციღოღ.

ოთახში შეველი. ჩემს მაგიდას მივუჯექე, წიგნი გავშალე და თავს ძალა დავატანე წამეკითხა. ასოებმა ხტომა დაიწყეს, სტრიქონები სადღაც მირბოდნენ, ფურცლები შრიალბდნენ და მიღირსადნენ. ბუხარში ვიყავ, თავი მიხურდა, თითქოს საფეთქლებზე ცხელ ფიცის შეუბრალებლად მიფეთქებდნენ.

აუღეკი. ცივი წყლით პირი დავებანე. თითქოს ვამოვფრხვლი. მაგრამ არ ვასულა ნახევარი საათიც, რომ რალეც მტანჯველი და სულის გამწვანება თვლებმა მომეკრია. თვალბეჭში დამწვარი ქული მიდგა, თავს რეტი მესხმოდა. ჩემზე უმეტესი დედამამის ზურგზე არავის ვეგონა.

ისინი, ვისაც „გასართობად“ ფული ჰქონდათ ვადაღებულნი, ყოველდღე რომ ნამცხვრით იტენებოდნენ, ვინც ამხანაგები და შეზობლები მეგონენ—უდარდლად დაითრდნენ... მე კი ქიორაზე ეტრიალებდო.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში დათო შემოვიდა. მე ის მხოლოდ ახლა ვამახსენდა. მაგრამ სიხარულს მაშინვე ფრთხილ შეეკვეცა. მათ თუ ფული „არა ჰქონდათ“, დათოს საიდან ექნებოდა? მაგრამ, აი, მომიახლოვდა დათო და მეუბნება.

— მე რატომ დავაფიქრებდი?..

მე სიხარულით გადავიმარტე, მაგრამ წამსვე თავი შევიკავე და ძმინედი ვუთხარი:

- შერე, შენ სადა ვაქვს ამდენი ფული, დათო?
- რატომ არა მაქვს!—ამაყად მომივიღო მან.

მე თვალზე დავაკეტიტე...

— საიდუმლოდ გეტყვი, ბიჭო,—რატომაც ნაღვლიანად დანიწყო მან,—დიდი ხანია კინოში არ ვყოფილვარ, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო: დედა რომ კინოში წასასვლელად ფულს მიძლევდა, მე ვიზოგავდი, ვინახავდი... მაგრამ უნდა მევიდა. დედა? არა, დედა კი ყიდულობს, მაგრამ რა ვენა. ძალიან ჩვერა ვიზრდები, კოჭები სულ გართობა მიქვს გამოყოფილი და დედა ხშირად არ მინდა შევიწუხო...

მე უნებურად გამეღიმა, როცა შევხედე კაქლის საბერტეი ჯოხითა აყუდებულს. მეტი სახე კვლავ მომეღელა და ყური მივუგდე.

— წარბოდგენაში ხომ მეც ვთამაშობდი და იმ ქულის დანაწევაში მეც მიდევს წილი... აიღე... არაფერია, მე მაინც კალათბურთელი ვარ, ტრუსითაც რომ ვიარო, სირცხვილი არაა... მთელი ქალაქი ასე მიცნობს... დიდი რამე, თუ ფეხის კოჭები გამომიჩნდა. პრანკია გოგო კი არა ვარ...

ქუთუთოები ამეწეა, გუგუბში ბინდი ჩამიღდა, ამბირკვიცილად ყველაფერი. საცაა წამწამს ცრემლი გაეკიდებოდა, მაგრამ თავი შევიკავე და ყელს მოწოლილი დედა რის ვივიავლახით ჩაველაპე. რა მექნა? ასე კეთილი გულით მოძღვნილი არ ამელო? ამელო და. დიდი ჯაფით, წვალებითა და გაჭირვებით მოგროვილი ფული მე დამეხარჯა... აი, ასეთი ფეჭრები მიწვევდა გრძობა-გონებას, იმ რამდენსამე წუთში ჩემს თვალწინ უამრავმა სურათმა გაიფლავა. თითქოს მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გაიბრინა... თვალწინ დამეხატა ჩვენი შენობა, მესამე სართული, გრძელი და ნათელი დერეფანი, იქ მცხოვრებ ადამიანთა სახეები, და მეტი. უცნებ, აურში ჩამესმა ვიღაცის გესლანი, გამკილაგი სიცილი. არა, დათოს უარს ვერ ვეტყვი. გამიელვა ერთხელ კიდევ გონებაში და, როცა ეს გადაწყვეტილება მივიღე, გულს მომეშვა, სხეულში ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს ასფუთიანი ტერითი მხრებიდან ჩამომაცალეს-მეთქი, შევბით ამოვისუნთქე... უნებურად გამეღიმა და თავი დავექნე. დათომ ფული ჯიბეში ჩაბიღო და ოახიანი სწრაფად გავიდა. კარებში ერთ წამს შეჩერდა და უფრო თავის დასამშვიდებლად, ვიდრე, ჩემს სანუგეშებლად თქვა:



რა მექნა? ასე კეთილი გულით მოძღვნილი არ ამელო?

— ძმა ძმისთვისაო, ბიჭო!.. რა ყურები ჩამოგიყვარია!...—და ნაძალადევად გაიციხა.


მეც გამეციხა—სიწირით. სიცოცხლა გული მატკინა. სუნთქვა შემეკრა, ისევ დამიტრიალდა გონებაში ცეცხლიანი ჭარბიშალი. თვალწინ გამიელვა გიას მანქანის გასაღებმა, ზაურის გაღალგაფრებულმა ლოყებმა... გაიფლავა და გაქრა. და მათი ადგილი უცბათ დაიკავა მოკლე, კოჭებამდე ჩამოლუსტულმა შარავლამ.

„მე მაინც კალათბურთელი ვარ“,—გამახსენდა დათოს ნუგეშო.

„მეც ვიქნები!“—გაღაწყვეტიტე მტკიცედ და, მიუხეხედავად იმისა, რომ თავად არ მესმოდა კარგად რა ვიქნებოდი, ამ გადაწყვეტილებამ გულს მომფონა და სულში სიამე ჩამიღვარა.

მიხვდები, ჩვენს პატარა დერეფანში დაიწყო ის, რაც დიდი ცხოვრებაში უნდა გასულიყო და რასაც სახელად მეგობრობა ერქვა.





მისგან მიღებულ ბარათს, და ოცნებაში წახულს ჩაეძინება ჩქარა.
ხედავს: მოსკოვში არის, სიხარულს ვეღარ ჰფარავს, დიდ მოედანზე მდგარი უცქერის სპორტულ პარადს. მუხიკის ხმახაც ისმენს, იგორიც მოაბიჯებს, სიცოცხლე, სისალისე მოაქვთ კუნთმაგარ ბიჭებს.
— გოჩა, რა მოვდის, ბიჭო, — ჩახტახტ: — ძილი კმარა! გამოიფხიზლე, გიჯჯობს, მოსკოვში ჩავალთ ჩქარა! — რამ ჩააძინა დღისით, ჩანს იყო დაქანცული, აგერ, გამოჩნდა ისიც, — მოსკოვი, ქვეყნის გული.

ქ. გომიანიძე

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

გოჩა და იგორი

ქ. გომიანიძის ვრცელი პოემა — „გოჩას მოგზაურობა“ ქართულ და რუს პიონერთა შეგობრობაზე გვიამბობს. ებეჭდეთ ნაწყვეტს ამ პოემიდან.

განთიადა შშვიდო,
ნიაგი დაჰქრის დილის,
ავტომ გადაქრა ხიდი,
შორდება დედა-თბილისს.
საით იჩქარის ასე,
საით ისწრაფის ნეტავ?
მანქანა მიჰქრის გზაზე,
შევ ნაცნობები სხედან.
აეროდრომის ახლოს
მანქანა შედგა უცებ,
გოჩა რად ჩქარობს ახლა,
გული ასე რად უცემს?!
სარობს, რომ მოსკოვს ნახავს,
ვეღარ ისვენებს, დედავს,
დეიდა მაროც ახლავს,
თან ხაუბრობენ ნელა.
გოჩა ყვლს უღერს ნიავეს,
ნეტავ მოსკოვში ვინ ჰყავს?
თვითმფრინავს ტვირთი მიაქვს,

★
თან ბევრი მგზავრიც მიჰყავს.
შევადნენ, დასხდნენ... მგზავრებს
აღარ დასჭირდათ მოცდა,
და თვითმფრინავიც მალე
მიწას გუფუნით მოსწყდა.

...
ჰეგრს ჰრის თვითმფრინავი,
გოჩა კი რამდენს ფიქრობს,
აღლეგებს ეს ამბავი:
როგორ შეხვდება იგორს.
იგორს. მეგობარს ნამდვილს,
მოსკოველს, თანაკლასეულს,
ხხვა ფიქრი არ აქვს დადლილს,
გულს სიხარული ახვებს.
იგორის ფოტოსურათს
დამილით დასცქერს იგი,
იგორებს: კარგს და გულდას
როგორ მიუძღვნა წიგნი.
ტკბელად ისვენებს წარსულს,

ქალი და ბიჭი რიდიო
კიბეზე ვინა დგანან?
ზარს დაპირებს თითი,
როგორ მორცხვოენ თანაც!
კარი ვალე მალე
ერთმა პატარა ბიჭმა,
ვინა გენებულო, — კრძალვით
მოსულებს ჰკითხა დედალ.
— იგორ, მიცანი, ძმაო? —
გოჩამ შესძახა ქმობილს, —
დედასნს უცქერდა მარო
მკერდი-მკერდ გადაქლიბილთ.
— ეჰე, გოჩა ხარ შენ თუ?
ვის ვხედავ, ვისა ვხვდები, —
გადახვებინენ ერთურთს
როგორც ნამდვალი ძმები.
თავაზიანდ შესვდა
ხეუმრებს ჰადარა ქალიც,
იგორი სწრაფად შესტა,
დედას მიაპურთ თვალში!
გოჩამ ვადიძრო ჰქუდი,
ჟუთს მიუბრუნდა ბავშვი:
— იგორ, მიშველე, ჟუთი





ენერა ვეებერთელახ.
„საზამთრო მუზიანის,
საქართველოდან არის“,
იგორს მატებდა ხალისს
წარწერა გოჩანს გვარის.

ძია ვლადიმერს ავტო
ახლა ქარხნისკენ მიჰყავს,—
მანქანაში ზის მარტო.
წვიმა ოდნავად წინწკლავს
და ძმობილები ერთად
მეტროს სადგურთან დგანან,
ახლა რაღა სურთ ნეტავ?
სად ისწრაფიან განა?
რა კობტა დარბაზია,
ნაკები თეთრი კვებით,
ისეთი ლამაზია
ენა ვერ აღწერს კებთო.
გოჩამ რა აღარ ნახა,
ძმანთან სიხარულს იუფავს,
სტუმარი უველგან დაჰყავთ,
მავსოლუმშიც იყო.
შინ კი ერთ რამეს დარდობს,
მხოლოდ ერთ რამეს ფიქრობს,
ნათქვამს, ძმობილს ანდობს,
და ეუბნება იგორს:
— „ღინამოს სტადიონზე
ნეტავი, ვინ წამყვება?
„ტორბელის“ ზუსტად ორზე
ჩვენი „ღინამო“ ხვდება.
— ახლა რა დროა, მითხარა,
— ნახევარია ორისი,
— ცდა არ მოგვიწევს დიღანს,
შეხე, ტელევიზორი...
ჰო. რა ძნელია მოცდა,
წუთებს აკლდება წუთი,
ავერ, მოვიდა დროც და
ეკრანზეც გაჩნდა შეუქი.

მატარებელი მიჰპირის
მწვანე სოფლები მოჩანს,
ვადლუმლია წივინი
ფანჯარასთან მდგომ გოჩანს.
მხარზე „ლეიკა“ შვენიის
სმობილის ნაქაქარი,
სოფლად მის ჩახვლას ელის
მრავალი მეგობარი:
მატარებელი მიჰპირის,
მწვანე ფოთლები მოჩანს,
ოჯახი ნათელ ფიქრით
ელის საყვარელ გოჩანს.

შემოვიტანოთ სახლში! —
ქალები მიეხმარნენ,
შინ შეიტანეს ბარგი.
— გოჩა, მითხარი ბარგემ,
მაგ უფოში რა ძივს კარგი? —
გოჩამ ჩაქუჩით დიდ ყუთს
თავი გადახსნა ნელა,
ამოათრიეს იმ წუთს
საზამთრო, ვეებერთელა.
— მე მოვიყვანე, ბაღში...
სტუმარს შესძახეს: — უჩაღ!
მართლაც რომ კარგი ბავშვი
ყოფილა ჩვენი გოჩა! —
ბარგი დახსნეს და ხელად
გამოიწინდა ოქროს ხილი,
ბლომად იგებდა ყველაშ
ხილი თაფლივით ტუბილი.

კრემლის საათი თერთმეტს
დინჯად, გუგუნით რეკავს,
გოჩა მოედნის შემდეგ
უცქერის მოსკვა-რეკას.

მანქანა უვლის ქალაქს,
ახსად ჩერდება დიღანს,
ავტო იგორის მამას,
ძია ვლადიმერს მიჰყავს.
არის კეთილი გულის,
მგზავრობა სულაც არ ღლის,
სტუმრების მოუვარული
ინე ნერია ქარხნის.
გოჩანს უამბო მშვიდად
ამბავი კრემლის ზარის,
წითელი მოედნისა
და მეფე-ზარბაზანის...
მანქანა მიჰპირის გზაზე
ავტომ სვლა ენანელა,
გოჩამ შესძახა ასე:
„სახოფლო გამოიფენა!“
ძირს ვადმოვიდნენ სწრაფად,
საზამთრო მიჰყავთ ყუთით.
ნორჩ ბიოლოგთა დარბაზს
აწუდება ბავშვთა გუნდი.
აჰა, გადახსნეს ყუთი,
მისკენ იჩქარის ყველა,
„კილოა ოცდაუთი“, —



ბაშირის მთებში უამრავი გამოქვაბულია. ბევრ მათგანში ჯერაც არ დაუღვამს ფეხი მკვლევარს და მხოლოდ ლეგენდები თუ გაუწყებენ მათ შესახებ ბუნდოვან ცნობებს. მთაში გავრცელებულ ლეგენდებს შორის ყველაზე უფრო ამაღლებული და საინტერესოა ლეგენდა იმ განძის შესახებ, რომელიც, გადმოცემის თანახმად, მთა კალაკ-ტაშის მიუვალ გამოქვაბულში ინახება.

აი ლეგენდაც: მრავალი წლის წინ კალაკ-ტაშის მახლობლად მდებარე ტბის—რანგ-კულას სანაპიროებს ჩინეთის ჯარის ძლიერ დაღლილი რაზმები მიადგა. მათ აღუწერელი განძი, მიქონდათ თან. მოულოდნელად დიდი თოვლი მოვიდა. შიმშილი და სიცივე არ ინდობდა არც ადამიანს, არც საქონელს. ერთხელ, ღამით, ჩინელების მოკაემრეები ბანაკიდან გაიპარნენ და, დევნისაგან თავის დაღწევის მიზნით, დარჩენილ ცხენებს ძარღვეში გადაუჭრეს. ჩინელი მეომრები დაღუპვის წინაშე აღმოჩნდნენ და იმისათვის, რომ განძი მაინც გადაეჩინათ, გადაწყვიტეს გამოეყენებიათ გამოქვაბული, რომელიც იქვე, მაღალი მთის მიუვალ კალთაზე შავად მოჩანდა. მეომრებმა დახოცილი ცხენები ნაჭერ-ნაჭერ აკუწეს და ეს ნაჭერები გაყინულ კედელს მიაკრეს. ყინულმა და სიცივემ თავისი საქმე გააკეთეს: ნაჭერები კედელს მიეყრნა და ასე გაკეთდა კიბე. ჩინელმა მეომრებმა ამ კიბით მიადგინეს გამოქვაბულამდე, განძი გადამაღეს და თვითონ გმირულად შეხედნენ სიკვდილს. გაყინული კიბეები გაზაფხულზე გალხნა, გადნა და ხორცის ნაჭრები ძირს ჩამოცვივდა. გამოქვაბული კვლავ მიუვალი გახდა.

ლეგენდარული გამოქვაბულის გამოსაკვლევა სპეციალური ექსპედიცია შეიქმნა, მას აკადემიკოსი ი. ტამში ხელმძღვანელობს.

ექსპედიციის ერთი ჯგუფი, ადგილობრივ მკვიდრთა თანხლებით, მანქანებით გაემგზავრა გამოქვაბულის ადგილმდებარეობის დასაზვერად. ტბა

რანგ-კულას სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით ორ კილომეტრზე, აღმართულია ქედი. ვიწრო ხეობა, რომელსაც სალიკ-ტაშს უწოდებენ, ამ ქედს ორად—აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ყოფს. აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე უახლოეს მთას კალაკ-ტაშს უწოდებენ. მისი ფერდობები სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით წარმოადგენენ თითქმის შეუღლად ჩამონგრეულ კლდეებს. სამხრეთ მხარეზე მდებარე ჯერდობის შუაში, დაახლოებით ორას მეტრზე უფრო მაღალ



მოჩანს გამოქვაბული, რომელშიც, გადმოცემის თანახმად, ინახება დიდძალი ოქრო-ვერცხლი და სხვა ძვირფასი ნივთები.

ოცობედ მეტრით ქვეით, მთავარი გამოქვაბულიდან მარჯვნივ, მოჩანს მეორე, გამოქვაბული და ბოლის, ქვა-ყრილიდან ზევით, თხუთმეტიოდ მეტრზე, შესამე გამოქვაბულთაა.

მთავარი გამოქვაბულის შესასვლელის სიმაღლე ათი მეტრია, ამდენივეა სიგანე. შესასვლელის ნახევარზე მეტი ამოშენებულია ქვით. შეუიარაღებელი თვალით კარგად ჩანს, რომ ეს ნაშენობა ქვების ბუნებრივ თავმოყრას არ წარმოადგენს. ქვები ადამიანის ხელითაა საგულდაგულოდ ერთმეორეზე დალაგებული.

ექსპედიციის წევრებმა ყველა იმ შესასვლელიდან, რომელიც მათ გამოქვაბულის დასაყობად განიხილეს, არჩიეს მთის წვერიდან დაბლა დაშვება ფოლადის ბაგირის საშუალებით. მთაზე ასედა მხოლოდ სამხრეთ კალთიდან გახდა შესაძლებელი. კალაკ-ტაშის მთაზე ასვლის სირთულე მეოთხე კატეგორიას მიეკუთვნება. (ალპინიზმი მთაზე ასვლის სირთულე ხუთ კატეგორიად იყოფა: მეხუთე—ყველაზე ძნელია).

...და აი, ყველა აუცილებელი ხელსაწყო უკვე ატანილ იქნა კალაკ-ტაშის წვერზე. ალპინისტთა ჯგუფი იქვე დარჩა ღამის გასათევად, რათა დილიდანვე დაეწყო სამზადისი გამოქვაბულზე იერიშის მისატანად.


ბაგირზე ერთდროულად ორი კაცი უნდა დაშვებულიყო. ერთი მათგანი თოვით იქნებოდა, იმიტომ რომ გამოქვაბულში ეგებრთელა მტაცებელი ფრინული შეინშნეს. იგი ალპინისტთა თვალწინ შეფრინდა შივ.

სამწუხაროდ, ბაშირის ძლიერმა სუსხმა შეუძლებელი გახადა გამოქვაბულის დაპყრობა. ექსპედიცია იძულებული გახდა შეეწყვიტა ყოველგვარი სამუშაოები და გამოქვაბულის იერიში გაზაფხულამდე გადაედო.

3. კ. სილოვი.

ბაშირის გეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე.

გუნაგის



ლურჯი ვეშაპი

ცნობილია, რომ ძუძუმწოვარი ცხოველები ხმელეთის გარდა წყალშიც ცხოვრობენ, განსაკუთრებით კი ზღვისა და ოკეანეებში. მათ შორის მეტად საინტერესოა ლურჯი ვეშაპი. იგი ყველაზე დიდი ცხოველია, მისი სიგრძე 30—34 მეტრს, ხოლო წონა 150 ტონას აღწევს.

ლურჯი ვეშაპი თავისი სხეულის ფორმით თევზს წააგავს. მისი ვეება თავი ისე უფროდება ტანს, რომ კისერი სრულდებით არ ემჩნევა. ტანის უკანა ნაწილი თანდათან ვიწროვდება და ორად გაყოფილი ფარფლით ბოლოვდება. წინა კიდურების მაგივრობას ორი ძლიერი ფარფლი ასრულებს. უკანა კიდურები არ გააჩნია.

ლურჯი ვეშაპი ფილტვებით სუნ-

თქავს. იგი ყოველ 10-15 წუთში ამოკურდება ხოლმე წყლის ზედაპირზე, 1-2 წუთში დიდძალ ჰაერს ჩაისუნთქავს ფილტვებში და კვლავ ზღვის სიღრმეს შეერევა. ვეშაპს თავის ზედა მხარეზე მოთავსებული აქვს ნესტოები, რომლებიც წყალში ჩაშვებისას ეხურება, ზედაპირზე ამოვლისას კი ეხსნება და ამ დროს მძლავრად ამოისუნთქავს ხოლმე და წყალს წვეთებისა და ორთქლისაგან შემდგარ მაღალ შარდევანს ამოუშვებს ხოლმე.

ამ ვეებერთელა ძუძუმწოვარს ძალდიდი პირი აქვს, ისე რომ იქ ხალხით დატყორთული ნაფი მოთავსდება. მაგრამ სამაგიეროდ იმდენად ვიწრო აქვს საყლაპავი მილი, რომ მხოლოდ წვრილი კიბონსაირები, პატარა თევზები, მელღუბები და სხვა პაწია ცხოველები შეუძლია მიირთვას. გააღებს თუ არა ვეშაპი ვეება პირს მაშინვე მის ხაზაში წყლის დიდი ნაქალი შევა და თან მრავალი წვრილი ცხოველი შეჭყვება, შემდეგ პირს მოკუმავს და, ზედა ყბაზე კბილების ნაცვლად ჩამოკიდებული 400-მდე გრძელი რქოვანი ფირფიტა („ვეშაპის ულვაში“), რომელიც კქმინის ერთგვარ საცერს, წყალს გარეთ გამოიღწის, ხოლო წვრილი ცხოველები პირშივე რჩება და იქიდან საყლაპავში გადადის.

ლურჯი ვეშაპი შვილს წყლის ზედაპირზე შობს. პატარა ვეშაპი დაბადებისთანავე ჩაისუნთქავს ჰაერს

და მისი ფილტვებიც იწყებს მოქმედებას. პატარა ვეშაპი იმდენად განვითარებული იზადება, რომ 15-20 წუთის შემდეგ თავისუფლად შეუძლია დაედევნოს დედას. ახლად დაბადებული ვეშაპის სიგრძე 7-8 მეტრს აღწევს. 6-8 თვის განმავლობაში დედის რძით იკვებება. ძუძუს წოვს წყალში და ამ დროს ენას ისე მოარგებს მას, რომ რძეში წყალი არ ერევა.

ლურჯი ვეშაპი ჯერზე ერთ შვილს შობს, მრავალდება 2-3 წელიწადში ერთხელ და 200 წელს ცოცხლობს.

აღამიანი მრავალნაირად იყენებს ლურჯ ვეშაპს: ცხიმი გამოაკენება ტყავის წარმოებაში, მანქანების საზეთავად, საპნის, სანთლის და გლიცერინის დასამუშავებლად. ხორცისა და ძვლის ნარჩენებისაგან ნიადაგის გასაპოხიერებელ სასუქს ამზადებენ.

ვეშაპებზე ნადირობისათვის სპეციალური გემები აგებულია. ასეთი გემების ქიმზე დადგმულია სანადირო ზარბაზანი, რომლითაც ბარჯს ესერიან ვეშაპს. ბარჯი გრძელი ბაგით ვეშაპს მიმაგრებული. ვეშაპს მოხვედრილი ბარჯი სხეულში ერქობა მაგარად და ამგვარად ლურჯი ვეშაპი გემზე მიბმული აღმოჩნდება. ბარჯის წინა ნაწილში მოთავსებულია ყუმბარა, რომელიც ვეშაპის სხეულში შეჭრის შემდეგ ფეთქდება და კლავს მას. ამის შემდეგ მკვდარ ვეშაპს გემბანზე აათრევენ და იქვე იწყებენ მის დამუშავებას.

პროფესორი **რ. კოპპინიძე**





ქაბახსტროვა ოკაენაშვი

ვახუშტი წლის ზაფხულს, ატლანტიკის ოკეანეში მოხდა კაბახსტროვა, რომლის შესახებ 1912 წელს „იტალიანის“ დაღმრუბის შემდეგ არ ყოფილა.

შვეიცის გემი „სტოკჰოლმი“ დღი სისწრაფით დაეჯახა და ჩაჩარა იტალიის საუკეთესო ლაინერი „ანდრეა დარეა“, ჩაჩარა დასხმებით სრულყოფილი, უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი გემი. აი, როგორ მოხდა ეს. როდესაც ნიუ-იორკამდე 200 მილი იყო დარჩენილი, „ანდრეა დარეას“ კაბახსტროვა რადიოლაკატორში შეაჩინა ის ებრა-შემდგომი გემის სიგნალი. კაბახსტროვა გადაწყვიტა მარჯვნივ აეღო შემდგომი გემისათვის, შვეიცის გემის კაბახსტროვა, თავის მხრივ, სრულად მოუღმუნდა, სწორედ იქითვე აიღო გემი.

როდესაც იტალიის გემზე, მარჯვნივ მხრიდან მათგან მომავალი ნისლი გახვეული გემი შეაჩინა, უკვე გვიან იყო „სტოკჰოლმი“ პირდაპირ ცხვრით დაეჯახა მას. „ანდრეა დარეა“ შეტოვდა, ჯერ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ გადაიხარა, შენარჩუნდა გვერდიდან გემის ტრეუმენტში წყალი შეიკრა. დაჯახებამ იმდენად ძლიერი იყო, რომ იმჟამსვე დაიგრა თითქმის ყველა კაბახტა. დერეფანი, სამაქანია განყოფილება, ტყედა



კალების ცივილი, ზღვევების ტირილი. ყოველ ნაპირზე კენება და ვიდრეცა იმხელა გემის ეკიპაჟი ამოღო ცდილობდა დაეწყნარებინა მგზავრები. გემი თანდათან ვერღულ იხრებოდა და პანიკით მოსული მგზავრები გასასვლელში აწვდებოდნენ ერთმანეთს. მგზავრების გადაყვანა 5 საათი გაგრძელდა. ამერიკიდან მოფრინდნენ ვერტმფრენები, „სტოკჰოლმის“ გარდა სახვეულად სხვა გემები მოვიდნენ. აღიწერა, როცა ნისლი დაეჯახა, გემზე მხოლოდ კაბახსტროვა და 11 მგზავრული იყო დარჩენილი. ისინი ცდილობდნენ გემი ჩაჩარვას გადაერჩინათ, მაგრამ ამისთვის, „ანდრეა დარეა“ მალე ფსკირისაკენ წავიდა.

გემზე მყოფ 1706 ადამიანიდან, რომელთა შორის 572 მოსამსახურე პერსონალი იყო, დაიღუპა 25 კაცი, ამდენივე უკავლოდ დღეიკარგა და ასი დღეიკარგა.

„სტოკჰოლმი“, მიუხედავად იმისა, რომ წინა წაწილი 12 მეტრზე მოიღწია მოსული იქნა, ნიუ-იორკს მიაღწია და 570 გადარჩენილი მგზავრი მივიყვანა.

ნაილონის თოკი ფოლადის ბამბრის ნაცვალად

როგორ ხდება ქარიშხლის დროს, დაზიანებული გემების გადარჩენა? წარმოდგენით ამბოჯრებული ზღვა, ქარიშხალი და შუა ზღვაში დაზიანებული გემი, რადიოსადგომი განუწყვეტლივ გადასცემს სიგნალებს — საშველად მოუხმებს გემებს. ასეთ დროს საერთაშორისო წესის მიხედვით ყოველი გემი ვალდებულია მიემშვიდოს დაწარაფეთ. მაგრამ მთლევარე ზღვაში განზარაბულ გემთან მიახლოება და მისთვის ფოლადის ბამბრის მწოდება საგმოდ ძნელი საქმეა და ხშირად, მათველად შეჯახების შედეგად თითონ საშველი ხდება.

ახლა გამოიგონეს ისეთი ხელსაწყო, რომლის საშუალებით, გემთან მიახლოების გარეშე, შორიდან შეიძლება საშველად იყოს გადაყვება. სპეციალურ მუშხუნას გამოხმული აქვს ნაილონის დაწერილი ბაგირი. გემიდან გასროლილი მუშხუნა გააპობს ზღვაზე ნაწირობელი ნისლს, გასაშვრი მუკუ გემზე მიფრინდება და მამაშვრი ბაგირის მიიტანს. ამ ბაგირის საშუალებით დღევანდელი გემების ნაპირზე მიღვამაც გადავლდება.

მუშხუნის კუნძული

ვახუშტი საუკუნის დასაწყისში, ამერიკის ერთი გემი, რომელიც ზღვის ლომებზე წაღობობდა, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ახლოს მდებარე კუნძულ აკაბოს მიაღწია. ამ დროიდან, პატარა, შიშო გადაბარკულები კუნძულმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ნაპირზე აღმართა მგზავრებმა კუნძულზე ფრინველის უზომო სროჩი აღმოაჩინეს, რომელიც იმ დროს ოკეანე ფასობდა.

კაბახსტროვა გემი პირადად დღეიკარა და სამშობლოში გაემგზავრა. მაღვი, ამ აღმოჩენის შესახებ ინგლისშიც გაიგეს და სპეციალური კომპანია შექმნეს ამ სიძლიერის მოსაპოვებლად. მათ შედეგები, ფრანგები და იტალიელები მიუყვანენ. სიძლიერით დასარბებულ ადამიანთა შორის განწდა დავა, შეტაკებები, რამაც 135 კაცი იხსვერგა.

1860 წელს ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ, კუნძულის საბოლოოდ დასკრობის მიზნით, იქ თავისი ფლტატელია გაგზავნა. შემდგომ წლებში, როდესაც სკოტის ფა-

სი დაეცა, ამ კუნძულზე სხვა ადამიანთა სახელი. ერთმა ამერიკელმა ავანტურისტმა ინგლისის ადგილობრივ გუბერნატორს გამოხოვა სკოტის სკელ ფენებში დაბარკული რამდენიმე გემი, რომლებიც ძალზე კარგად იყვნენ შენახული. აღკვეტილი რამდენიმე იტალიური ნაოსნავი იყო, ვაკებში შუა ჩააწყო და ეტროსა და ზღვაში. სიძველებზე დასარბებულმა გემებმა ნაგებობა შექმნეს. ერთ მათგანში, მაგალითად, 700 დღეიკარგა იქნა გადახდილი.



მასხამარი კარკი

შეტად საინტერესო და ძვირფასი საწუკარი მიღის სპორტსმენებმა თავის ქარხნის, უკანასი რეზინშიტიკის ოცენების მიხედვით. ქარხანა რეზინისაგან ამხალბებს ხალაშკო, ვასაბარე კარვებს. ასეთი კარავი კარგად უძლებს ძლიერ ქარს და ხინტრესაც არ ბარტყობს. მას თან ახლავს ვასაბერი ღებები და ბალოშები. კარავი ორ კაცსა გაანგარიშებული.

თვალის ელემტრონიტი მკურნალობა

ამჟამად ბეიკის 17 დიდ საავადმყოფოში თვალის მკურნალობის ახალ მეთოდს ეკვლევენ. შორისმდევლობის, ახლომხედვლობის და ახლომხედვლობის მკურნალობა ძალზე მარტივია: ავადმყოფს ხელში უჭირავს პატარა ბატარვას დღეიკითი ელემტრონიტი, ხალა ექიმში, უარყოფითი ელემტრონიტი სამი წუთის განმავლობაში ცხება თვალის გუჯის სქივალს. ამის შემდეგ ავადმყოფი 15 წუთის განმავლობაში თვალდახუებული სხვა: ასე მათგარდა მკურნალობის პროცესი.

ექვგვარეში, უარყოფითი ელემტრონიტი სამი წუთის განმავლობაში ცხება თვალის გუჯის სქივალს. ამის შემდეგ ავადმყოფი 15 წუთის განმავლობაში თვალდახუებული სხვა: ასე მათგარდა მკურნალობის პროცესი.

ექვგვარეში, უარყოფითი ელემტრონიტი სამი წუთის განმავლობაში ცხება თვალის გუჯის სქივალს. ამის შემდეგ ავადმყოფი 15 წუთის განმავლობაში თვალდახუებული სხვა: ასე მათგარდა მკურნალობის პროცესი.

ექვგვარეში, უარყოფითი ელემტრონიტი სამი წუთის განმავლობაში ცხება თვალის გუჯის სქივალს. ამის შემდეგ ავადმყოფი 15 წუთის განმავლობაში თვალდახუებული სხვა: ასე მათგარდა მკურნალობის პროცესი.

ექვგვარეში, უარყოფითი ელემტრონიტი სამი წუთის განმავლობაში ცხება თვალის გუჯის სქივალს. ამის შემდეგ ავადმყოფი 15 წუთის განმავლობაში თვალდახუებული სხვა: ასე მათგარდა მკურნალობის პროცესი.

ექვგვარეში, უარყოფითი ელემტრონიტი სამი წუთის განმავლობაში ცხება თვალის გუჯის სქივალს. ამის შემდეგ ავადმყოფი 15 წუთის განმავლობაში თვალდახუებული სხვა: ასე მათგარდა მკურნალობის პროცესი.

რედაქციის შემოსული მასალები
აქტიურად უბრუნდებათ

ფასი 2 მან.


„ЛИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. № 2, 1958
Тбилиси, Плевахова, 91. Мисართა: თბილისი, პლეხანოვის ქ. 91. ტელ. 3-81—85
№ 00745, ტირ. 18.500, ხელმოწ. დასაბ. 18/11-58 წ. სტამბის შტე. № 94, გამომც. შტე. № 48
საქ. კ. ე. კის-განმომცემლობის კომპინატი „კომუნისტ“.



ბასართობი



კ რ ო ს ე ო რ დ ი



პირიზონტალურად: 5. ქალაქი მდინარე დონზე; 7. დიდი იტალიელი ასტრონომი; 8. სახელმწიფო აზიაში; 11. ინდური კინოფილმი; 14. ხილი; 15. შექსპირის პიესის გმირი; 16. პარკოვანი მცენარე; 17. სოფელი კახეთში; 20. ხილი; 22. მდინარე საქართველოში; 23. სახელმწიფო აზიაში; 26. სამხედრო სასამართლო; 27. ტბა ჩრდილო ამერიკაში; 28. რუსი მწერალი.

ვერტიკალურად: 1. ტბა სომხეთში; 2. საგაზეთო წერილი; 3. ქალაქი უკრაინაში; 4. სახელმწიფო კანონის შეცვლა; 6. ხმელეთი ზღვაში; 9. ცნობილი ქართველი პოეტი; 10. ქალაქი ოსეთში; 12. ხეობა საქართველოში; 13. მოსტვეული; 18. ესპანელი რევოლუციონერი ქალი; 19. ქედო ვეროპაში; 21. უძველესი ციხე-სიმაგრე საქართველოში; 24. ქართველი სახალხო გმირი; 25. ძვირფასი ქვა.

შეადგინა თბილისის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლე **ა. თომაიაშ**

ა ბ ა , ბ ა მ ო ო ც ა ნ ი!

1. ერთ-ერთი საოჯახო ნივთის სახელწოდება რომ შებრუნებით წაიკითხოთ, მიიღებთ ორპირიან ზმნას. რომელი ზმნაა იგი?

2. ეპოქის აღმნიშვნელი სიტყვა რომ შებრუნებით წაიკითხოთ, მიიღებთ მიღამოს აღმნიშვნელ სიტყვას. რომელი სიტყვაა იგი?

3. აფრიკის ერთ-ერთი ტბის სახელწოდება ქართულში აღნიშნავს ერთპირიან ზმნას. რომელი ტბაა იგი?

4. გერმანიის ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდება ქართულში აღნიშნავს ჩვენებით ნაცვალსახელს მრავლობით რიცხვში. რომელი ქალაქია იგი?

შეადგინა **გ. წიწუაშვილმა**

პასუხი „პირენის“ № 1-ში მოთავსებულ ბასართობზე

პასუხი „კროსვორდზე“

პირიზონტალურად: 4. ალუბალი; 7. ქაირო; 8. აგარა; 9. იაღონი; 10. არტეკი; 13. პამირი; 14. ნიგერი; 15. კიროვი; 16. კომბუ; 19. ანკესი; 20. ნიანგი; 23. გროზნი; 25. იფისი; 26. ნიორი; 27. ატენი; 28. ინგლისი.

ვერტიკალურად: 1. შარბათი; 2. ბაირონი; 3. ნიაგარა; 5. გაიდარი; 6. არტერია; 11. „მახტრონი“; 12. ორენბურგი; 17. ისტორია; 18. მილიონი; 21. ენერჯია; 22. აესტრია; 24. თბილისი.

პასუხი თავბატხეზე „აბა გამოიცანი!“

1. ალპები; 2. აპალჩი; 3. ვანგა; 4. ტორესი; 5. იამალი; 6. ანტარქტიკა; 7. სიცილია; 8. ორინოკო; 9. ადანა; 10. ინალტეკო.


უჯრედებში ამ სიტყვების ჩაწერის შემდეგ, მსხვილი ხაზებით გამოყოფილ ვერტიკალურ სვეტში იკითხება ცნობილი ქართველი გეოგრაფისა და მოგზაურის გვარი — ბაგრატიონი.

პასუხი „შარდაზე“

სკაპი.

6/25/61 3-8/119

თბილისის
მუზეუმი



★

თბილისის დარსებიდან
1500 წლასთვის აღსანიშ-
ნავ საიუბილეო თარიღთან
დაკავშირებით, მხატვარი
ვერა ბელეცკაია ას-
რულებს გრაფიურების სე-
რიას: „ძველი და ახალი
თბილისი“.

გბედავთ ორ ნამუშე-
ვარს ამ სერიიდან: „კარლ
მარქსის ხილი“ და „ხედი
ბალნეოლოგიური კურორ-
ტიდან.“

★